სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხოსროშვილი

● №8 (4583) ● 15 მაისი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

რეფორმების მხარდამხარ, ანუ „როცა გული გულობს“...

პიროვნებებად, პატრიოტებად ზრდიან

ხელთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასტამბული ესეების მოსწავლეთა კონკურსში – **„არა, ბარბარიზმებს!“** გამარჯვებული 21 ყმაწვილის ნაშრომისაგან შემდგარი კრებული მიპყრია სათაურით: **„გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას!“**

21 გამარჯვებულიდან სამი: **მარიამ არსენიშვილი, სალომე ლასარეიშვილი, მარიამ ვარაზაშვილი** თბილისის 94-ე საჯარო სკოლის მოსწავლეა. 21-დან – 3, დამეთანხმებით, დიდებული მიღწევაა. ეს დიდებული მიღწევა 94-ე სკოლაში დავანებული ეროვნული სულის ზეობის ერთი გამოხატულება და ლოგიკური შედეგია იმ რუდუნებისა, როგორი სისათუთითაც ეპყრობა სკოლა – და სწორედ ასე ზრდის 1970-ვე მოსწავლეს – ყოველ ეროვნულს, ქართულს. ილიასეული **„მამული, ენა სარწმუნოება“** აქ ყოველდღიურ სამოქმედო პროგრამად აქვთ ქცეული და ასე – მამულის, ენის, სარწმუნოების სიყვარულით ზრდიან ყმაწვილებს.

ამის კიდევ ერთი დასტური: ფოიეში სტენდია სათაურით: **„არა ბარბარიზმებს!“** სხვა სათანადო მასალასთან ერთად, ყველაზე გავრცელებული ბარბარიზმებია ჩამოთვლილი ქართულ შესატყვისებითურთ. რამდენიმე მაგალითი! ინგლისური ენიდან შემოსული ბარბარიზმები: **ლაივი – პირდაპირი ეთერი; ლაითი – მსუბუქი, იოლი; ედიტორი – რედაქტორი; ბრეიქი – შესვენება; ვიზიტორი – სტუმარი; დაქლიქება – დაწკაპუნება; ბულინგი – ჩაგვრა; ლინკი – ბმული; პერფორმანსი – წარმოდგენა; სენსიტიური – ფაქიზი...**

რუსული ენიდან შემოსული ბარბარიზმები: **ბასეინი – აუზი; გაიკა – ქანჩი; კრესლო – სავარძელი; პადიეზდი – სადარბაზო; ბუბლიკი – ბლითი; ბულკი – ფუნთუშა; პერაშკი – ღვეზელი; პრიანიკი – თაფლაკვერი...**

სკოლაში ისიც კარგად უწყიან, რომ ენას მხოლოდ ბარბარიზმები არ ანაგვიანებს და ამიტომ სტილისტური ხარვეზების მაგალითებიც გამოფინეს: **ადგილი აქვს – არის, ხდება; ამაზე არ წავალ – ამას არ გავაკეთებ, ჩავიდენ; არ მაწყობს – ხელს არ მაძლევს; გაყიდვაშია – იყიდება; საქმე იმაშია – საქმე ისაა...**

გაგიხარიათ, დიდებულია, როცა სკოლაში ასეთი სულისკვეთება სუფევს. ნეტამც, ყველა სკოლაში ასე იყოს. მაშინ მტრებს გაუჭირდებათ, საბოლოოდ კი აუცილებლად ჩაუვარდებათ კოვზი ნაცარში ყველას, ვინც გავეშებული ებრძვის ყოველივე ეროვნულს, გამალებული უკაკვავს თავს ქართული მენტალიტეტისათვის მიუღებელ ათასგვარ სიბილწეს და საამისოდ ყველაზე მოწყვლადებზე – ახალგაზრდობაზე ზემოქმედებს.

მითუფრო დასაფასებელია, რომ სკოლა თავისი კედლებით არ შემოიფარგლა: ქართული ენის სიწმინდის დაცვის კლუბმა **„ლაზარემ“** (ხელმძღვანელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქალბატონი **ზაირა გამყრელიძე**), მრავალ საინტერესო ღონისძიებებთან ერთად, ზემოაღნიშნული საინფორმაციო ბუკლეტები მთელ უბანში ჩამოარიგა.

სკოლა ტრადიციებითა და ინდივიდუალობით გამოირჩევა. მისი განსაკუთრებულობის ერთ-ერთ დასტურად ის კომფორტული, უსაფრთხო და თბილი გარემო შეიძლება მივიჩნიოთ იქ შესულ ყოველ მოსწავლესა და მშობლებს რომ ხვდება. ასეთი გარემოს შექმნაში, 105-ვე პედაგოგთან ერთად, რომელთაგანაც 2 – წამყვანი, 72 კი უფროსი მასწავლებელია და გაისად კიდევ – 32 ელის სტატუსის ამაღლებას, დიდი წვლილი მიუძღვით დირექტორის მოადგილეებს, ქალბატონებს: **ეკა ლიჩელსა** და **ეკა სიმსიველს.**

მიზანმიმართულად, გეგმაზომიერად და ურთიერთშეთანხმებულად მუშაობს სკოლის შვიდივე საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის (ხელმძღვანელი – **ნინელი ობგაიძე**); მათემატიკისა და ისტ-ის (**თამილა იმედაშვილი**); საზოგადოებრივი მეცნიერების (**ცაცა სიმონია**); საბუნებისმეტყველო მეცნიერების (**ნანა გიგოლაშვილი**); დაწყებითი კლასებისა (**ლელა გეთიაშვილი**); ესთეტიკისა და სპორტის (**მერი კავთელაძე**).

სამეურვეო საბჭო (**ნელი მუჯირიშვილი**) და პედაგოგთა საბჭო (**ირმა კოპინაშვილი**) აქტიურად, შემოქმედებითად ურთიერთანამშრომლობენ.

საჯაროობა, საჯაროობაო, რომ გაიძახიან, ნამდვილად კი ყველაზე მნიშვნელოვანს, საჭირბოროტოს, სასიცოცხლოს ან ჩქმალავენ, ან შელამაზებას ცდილობენ, 94-ე სკოლის ვებგვერდზე სწორედ საჭიროდ და ალალადაა ასახული სკოლის მუშაობა, სიახლეები, პროექტები. გსურთ გაეცნოთ, – აზრი გამოთქვათ? კი, ბატონო, ინებეთ.

მოსწავლეები განათლების სამინისტროს ყველა კონკურსსა და ღონისძიებაში წარმატებით მონაწილეობენ. **„ევერესტში“**, **„კინგსსა“** და **„რობინზონში“**. გამარჯვებულთა ჩამოთვლა ძალზე გაგვიგრძელებდა სათქმელს. **„წიგნის თაროს“** პირველ ტურში გაიმარჯვეს **მარიამ ბუცხრიკიძემ, ანა გიორგაძემ, თამარ ჩაჩავამ.** მოსწავლეახალგაზრდობის სასახლის მიერ გამოცხადებულ მუსიკალური ზღაპრების კონკურსის საქალაქო ტურში კი 1[4] კლასის მიერ დადგმულმა ზღაპარმა გაიმარჯვა (ხელმძღვანელი – **ლელა გეთიაშვილი**).

სკოლაში კიდევ ოთხი კლუბი მოქმედებს, რაც იმის დასტურია, რომ განუხრელად ზრუნავენ მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებაზე, მათს ჰარმონიულ პიროვნებად აღზრდაზე.

ისევ ილიასეულ „... აბა, დღეს მე ვის რა ვარგეც“ გაითავისეს: სამოქალაქო განათლების კლუბმა (ხელმძღვანელი – **ლელა შველიძე**) ტრადიციად დანერგა გაჭირვებული ოჯახების პროდუქტებითა და ტანსაცმლით დახმარება. წინასააღდგომოდაც გაუთბეს გული, მოეფერნენ და მშობლების, მთელი სკოლის დახმარებით ჩამოურიგეს შეგროვებული პროდუქტები.

სასწავლო პროგრამა ყველა სკოლისათვის საერთოა. სწორედ აქაა „ჩამარხული ძაღლის თავი“. როგორ ასრულებს სკოლა ამ პროგრამას? – თუნდაც კეთილსინდისიერად, მაგრამ ტრაფარეტულად, თუ თავისას დებს, ეძებს და ჰპოვებს, ნერგავს სიახლეებს, რაც მხოლოდ მისი ხელწერაა?

სკოლისეულია მათემატიკის ოლიმპიადა, რასაც მათემატიკის კლუბი „უსასრულობა და მისი ხელმძღვანელი **ინგა სტვილია** წარმართავენ. სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, ოლიმპიადა სკოლების ურთიერთთანამშრომლობის ხელშემწყობი და დიდებული მაგალითია. ამჯერადაც 89-ე და 131-ე სკოლები მონაწილეობდნენ. ეს ხომ თავისთავად დიდებულია, მაგრამ განსხვავებული ფორმატის გუნდური თამაში, ენერჯაიზერების მეშვეობით სხვა მრავალი უნარის წარმოჩენის საშუალება (ავტორი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – **ლელა ტალახაძე**) მხოლოდ აქაურთა ხელწერაა.

ზემოთ მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებაზე ითქვა. 94-ე სკოლაში კარგად უწყიან, რომ სიკეთეს საფუძველი აქედანვე უნდა ჩაუყარო, საიდანაც, **ეგზიუპერის** თქმით, ყველანი მოვდივართ – ბავშვობიდან. ამიტომაც ჩამოყალიბდა **„პატარა მკითხველთა კლუბი“** (ხელმძღვანელი **მადონა ლაშხია**). ეს მით უფრო მნიშვნელოვანია ახლა, როცა კომპიუტერმა „გადაძოვა“ ყველაფერი. დიდი მადლია, ყმაწვილი პატარაობიდანვე მიაჩვიო წიგნს და ასე დაუდო დასაბამი მის წიგნიერებას.

ამავე პედაგოგის სადამრიგებლო კლასის მშობელთა ინიციატივით (ცხადია, ამ ინიციატივაში გვარიანი წილი პედაგოგისაა), მშობელთა კლუბი **„მშობლები – განათლებისათვის, 94-ე საჯარო სკოლა“** ჩამოყალიბდა. მშობლები ჩართულნი არიან სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, დირექტორთან ერთად განიხილავენ სირთულეებს და მათი გადაჭრის გზებზე ერთობლივად ბჭობენ.

სექტემბრიდან სკოლის სრული რეაბილიტაციაა გათვალისწინებული, რისთვისაც მილიონ 400 000 ლარია გამოყოფილი, რაც კიდევ უფრო აამაღლებს პედაგოგთა შრომის მარგი ქმედების კოეფიციენტს.

სკოლას სათავეში პროფესიონალი პედაგოგი, ქალბატონი **ნინო გახარია** უდგას, მისი გულქართულობის დასტურად ზემოთქმული საკმარისზე მეტია.

პროფესიონალი კი ჯერ განათლებითაა – დედაუნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა 1996 წელს, შემდეგ – მუშაობის გამოცდილებით. ჯერ მშობლიურ სოფელ მუხურში (ჩხოროწყუს რაიონი) ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას; მერე პროფესიულ სასწავლებელში; დირექტორის მოადგილედ დააწინაურეს; 2014 წლიდან 94-ე სკოლის დირექტორია. ანუ სკოლის ყველა

➜ გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

კერძო სკოლა „ივერონში“

წიგნი წინაპართა სულია და განათლების კარიბჭე...

სკოლა „ივერონის“ ბიბლიოთეკის კარებიც იღება. ხმაურიან ფონზე იკვეთება, რომ აქ დღეს დღესასწაულია, წიგნის დღე!!!

რატომ დამივიწყე მკითხველო?!. მე შენ გელოდები!.. ფართოდ გაგვიღო წიგნსაცავის კარები ქალბატონმა **ლამარა თოდრიამ** და ჩემს მეათე კლასელებთან ერთად სადისკუსიო მაგიდასთან მიგვიპატიჟა. უცნაური რამ არის წიგნი, თაობათა ხიდია, ცოცხალთა და გარდასულთა დიალოგია... ,,წიგნი იმისთანა რამ არის, სოფლის ამბავს ქალაქში წაიღებს, საიდან სად გალაპარაკებსო“ - წერდა ი ლ ი ა!.. ათასი ვარამი გამოუვლიათ წიგნებს, მადლიერ ხელებსაც სჭერიათ და გაყინული მზერისთვისაც გაუძლიათ... ასე მოსულან ჩვენამდე, რათა წინაპართა სულის, აზრის ძალასთან წილნაყარნი გავმხდარიყავით... და „ყველაფერი ეს შთამომავლობისათვის გადაგვეცა, - სასიამოვნოდ საუბრობს ქალბატონი ლამარა...

შევყურებთ წიგნებით სავსე თაროებს... გვიხარია, წიგნის სამყაროში ვმოგზაურობთ. აქ მრავლადაა ნაჩუქარი წიგნები გულთბილი წარწერებით... წიგნების განხილვა თუ თანამედროვე შემოქმედთა სტუმრობა უკვე უკვდავ ტრადიციად მკვიდრობს „ივერონის“ ბიბლიოთეკაში. და ისევ ჩვენი ბიბლიოთეკარი... ქალბატონი ლამარა...ჭეშმარიტი საუნჯის მოძღვარი, რვაათეულ წელგამოვლილი და ისევ შრომისათვის შემართული ხალისიანი, მშვიდი. მრავალი იდეის თაოსანი, წიგნზე ფანატიკურად შეყვარებული და მზრუნველი... ასეთ ქალბატონად იცნობენ „ივერონელები ‘ უტყვი თაროებიდან იდუმალი სიტყვის გამავრცელებელს. მან კარგად იცის, როგორ ატაროს ცოდნის მძებნელი წიგნის უნაპირო ოკეანის ტალღებში. სხვადასხვა სიბრძნით იქცევს მოსწავლეთა ყურადღებას. „როცა წიგნს გადადებ და ფიქრს იწყებ, წიგნი მიზანს აღწევს, არიგებს მოსწავლეებს უტყუარი ჭეშმარიტებით. გიყვარდეთ წიგნი, ცოდნის წყარო!.. ქალბატონი ლამარას სულისხმიერი მონოდებაა... წარუშლელი შთაბეჭდილებით ახსოვთ მეათეკლასელებსა და მეექვსეკლასელებს მეფე **თამარისა** და მეფეთმეფე **დავით აღმაშენებლის** ხსოვნისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამოები.

გაწეული ამაგისათვის ქალბატონი ლამარა სკოლის გენერალურმა დირექტორმა **ციცო ჯაფარიძემ** ფულადი ჯილდოთი დაასაჩუქრა.

კვლავ დაუღლელად ფუსფუსებს იუბილარი... დაუსრულებელი მოლოდინით რაღაც ახალს გვიმზადებს შეკრებილთ. მალე მოლოდინს ნათელი მოეფინა კიდეც... ელოდებოდნენ პოეტ **მიხეილ ტყებუჩავას... ** ლიტერატურული ფსევდონიმით **„მებაღეს“...** ერთობ უცნაურია!.. საგამოფენო კუთხეში ლექსთა კრებულები... „სევდიანი რაფსოდია“ თუ „ანგელოზთა ფუსფუსი“... „კოსმიური რებუსები, **თერთმეტი წიგნი,** „ადამიანის უძვირფასესი საუნჯე მისი ვინაობაა“, უთქვამთ. პოეტის ვინაობას კი ავტორის რეალური

ამჯერად ბიბლიოთეკის დაუსწრებელ სტუმარზე ვსაუბრობთ... სჭირდება კი ასეთ ადამიანს, საქვეყნო საქმეთაგან უცალოს პიროვნული წარდგინება?! ალბათ, არა!!! „საქმემან შენმან წარმოგაჩინოს!!! კიდეც წამოაჩინა!!!

ვფიქრობ ყოველ ნიჭზე ძლიერია სხვისი ღირსების წარმოჩენა!.. გვიჭირს ან არ გვინდა, პირად მეტოქეობას გვიწევს... უსიყვარულოდ ვცხოვრობთ, პიროვნული ამბიცია გვეძალება... ესაა დღევანდელი რეალობა... 35 წლის პოეტ, ქველმოქმედ **მიხეილ ტყებუჩავას**, საქველმოქმედო ფონდ **„კეთილსოფლის“** დამფუძნებელს, საქართველოს **„მებაღეს“** და მის მეხოტბე სკოლა **„ივერონელებს“**... ბიბლიოთეკარ ქალბატონ **ლამარა თოდრიას** უთუოდ „უძვირფასესი საუნჯე“. მათივე ვინაობა წარმოაჩენთ!!!

ეს ის ლექსებია, საიდანაც მეტი ფიქრი, მეტი შინაგანი ხმა იკვეთება მის საკუთარ სულში, მარად დაუცლელ და მარადვე აუვსებელ საგანძურში.

თინა ჩხეიძე

ერთი ლექსით გაცნობა

მრავალსახეობა ნიჭისა

რედაქციაში გვეწვია დედაუნივერსიტეტის აღზრდილი მრავალმხრივი ნიჭის პედაგოგი **ქეთევან აბელაშვილი,** რომელიც ამავე დროს საინტერესო პოეტიც გახლავთ და ხატმწერი-მხატვარიც. გთავაზობთ ერთ ლექსს, რომელიც გაცნობით ხასიათს ატარებს. იხილეთ ხელნაწერის ფოტოპირი, სადაც მხატვარ გრაფიკოსის ნიჭიც იკვეთება. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი ნიმუში წარმოვადგინეთ – გაცნობის მიზნით. სხვა და დანარჩენი მერე ვნახოთ.

რედაქტორი



პიროვნებებად, პატრიოტებად ზრდიან

პირველი გვერდიდან

საფეხური გაიარა. ამიტომ არაოდენ **„კაპიტნის ხიდურიდან“** ხელმძღვანელობს კოლეგებს, არამედ კარგად უწყის რაოდენ რთული, საპატიოა მასწავლებლის ხვედრი და, თავადაც უპირველესად პედაგოგი, სკოლაში ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემის, მთლიანად აღსაზრდელებზე აქცენტირებულ გარემოს ქმნის. თუ სათავე სუფთაა, წყაროც ანკარა მოედინება. მთელი კოლექტივის ძალისხმევა, ვისაც ცხოვრების მიზნად სამშობლოსათვის სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, მცოდნე, ქვეყნის მოყვარული თაობების აღზრდა დაუსახავს, სწორედ საამისოდაა მიმართული და რა დიდებული შედეგებიცაა, თეზისურად მაინც ხომ ითქვა.

ნინო გახარია: „ასეთი გამოცდები უნდა გაუქმებულიყო, მაგრამ ვფიქრობ, გამოცდები აუცილებელია. ოღონდ ისეთი, მართლა გამოცდები რომ იყოს და მოსწავლეთა ცოდნის დონის ობიექტურად გამოვლენას ისახავდეს მიზნად. ეს მოსწავლეებისთვისაც კარგია და პედაგოგებისთვისაც. სკოლას აქვს უფლება თავად დანიშნოს გამოცდები. ვფიქრობ, მომავალი სასწავლო წლიდან საბაზო საფეხურზე დაწყებითიდან გადასასვლელი გამოცდები ჩავატაროთ. ეს სელექციისთვის როდი იქნება გამიზნული. ამის წინააღმდეგი ვარ.

რას ფიქრობს პროფესიონალი პედაგოგი და დირექტორი საატესტატო გამოცდების გაუქმების შესახებ? ეს მართლაც უფაქიზესი საკითხია.

მადლობა მთელ კოლექტივს. ერთ გუნდად შეკრულნი ვიღწვით აღსაზრდელებისა და, ამდენად, ქვეყნის საკეთილდღეოდ.“

კონსტანტინე გურგენიძე

P. S. რედაქტორის მინაწერი: **„წინილებს შემოდგომაზე ითვლიანო“ სკოლისთვის შემოდგომა ივნისია, სასწავლო წლის დასასრული. ყველა პედაგოგი ისეთი შემოქმედებითი გატაცებით მოღვაწეობს, გვწამს, რეფორმის მოთხოვნები მაღალი შედეგებით ფრთებს უთუოდ შეისხამს. ნინო გახარიას და მის კოლექტივს ვუღოცავთ სასწავლო წლის ასეთ ბრწყინვალე ფინიშს.**

ადამიანი თავის ადგილზე

ქეთევან ჩოქური: „განათლების ქართული, ეროვნული მოდელი უნდა შევქმნათ!“

სათანადო განხრის ფსიქოლოგთა მტკიცებით, ურთიერთშთაბეჭდილება პირველი შეხვედრის 15-30 წამში ყალიბდება და, ასეთი „მიკროსკოპული“ დროის მიუხედავად, მერმე და მერმე ძნელადღა იცვლება.

თბილისის 54-ე საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ **ქეთევან ჩოქურს** წლის მანძილზე მეორედ შევხვდი. როგორი იყო პირველი შთაბეჭდილება?

ასეთი: ადამიანი თავის ადგილზე. ახლა ეს შთაბეჭდილება გაძლიერდა და ახალ-ახალ შტრიხებით შეივსო, გამრავალფეროვანდა.

ლათინური ანდაზის თანახმად, გამეორება ცოდნის დედაა. მისი პერეფრაზით რომელიმე თემას, დაწესებულებასა თუ უწყებას რომ მიუბრუნდე, გვარიანი მიზეზი უნდა გქონდეს. ან – კარგი, ან – ცუდი.

54-ე სკოლაში მეორედ სტუმრობის მიზეზი სწორედ ზემოთხსენებული პირველი შთაბეჭდილება გახლდათ, რამაც ამჯერადაც სრულად გაამართლა.

მინდოდა გამეგო პროფესიონალის აზრი განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებზე, ამ სისტემაში არსებულ ვითარებაზე; გამეგო პრობლემების მისეული ხედვა. ცხადია, ასეთი ამოუწურავი თემის საგაზეთო წერილში ძირფესვიანად განხილვა ვერა და ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ, რაც ითქვა, ერთობ ყურადსაღებია.

მონოლოგის სტილი ვარჩიე, რადგან გულიდან გამოსულის შეკითხვებით ერთგვარი „გამტკნარება“ არ მინდოდა.

– მაშ, მოვუსმინოთ ქალბატონ ქეთევანს, დირექტორსა და პედაგოგს, ვისაც, კოლეგებთან ერთად, სწორედ რომ ხელიხელსაგოგმანებელი მისია აკისრია – ფიზიკურად, ზნეობრივად ჯანსაღი, მცოდნე, სამშობლოს მოყვარული თაობების აღზრდა.

ქეთევან ჩოქური: სახელმწიფო შემობრუნდა განათლების სისტემისაკენ. სახელდობრ, მკვეთრად გაიზარდა დაფინანსება და 2019-დან 2022 წლამდე ეტაპობრივად იმატებს და მთლიანი შიდა პროდუქტის 6 %-ს შეადგენს, რაც ქვეყნის ბიუჯეტის ¼-ია. ასეთი დიდი დაფინანსება განათლების სისტემას ეკონომიკურად ძლიერ, განვითარებულ ქვეყნებში აქვს.

მაგრამ აუცილებელია, თანხები მიზნობრივად დაიხარჯოს. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართულობა, სახელმძღვანელოების ხარისხი სწავლების სრულყოფილად წარსამართავად. პაგანინი ხომ იმიტომაც იყო ვირტუოზი შემსრულებელი, რო სტრადივარიუსის ვიოლინო ეპყრა, მაგრამ უმთავრესი პედაგოგია. სწორედ მისი პროფესიონალიზმი გაიპირობებს, უპირველესად, ქვეყნისა და ერისთვის საჭირო ახალგაზრდების აღზრდის, დაკვალიანების ხარისხს. ასეთი მასწავლებლების გარეშე, რაგინდ გამართულ-აღჭურვილი ინფრასტრუქტურა გვქონდეს და

დიდებული სახელმძღვანელოებიც, ისინი მაინც მიწაში ჩაფლულ განძს დაემსგავსება. ამიტომ აუცილებელია დაფასდეს პედაგოგის ურთულესი და უმნიშვნელოვანესი პროფესია. თუმცა, ჭეშმარიტი პედაგოგობა, უპირველესად მოწოდება, სულიერი მდგომარეობაა. აი, ასეთი, აქა ვდგევარ და სხვაგვარად არ ძალმიძსო. ამიტომ უნდა გაიზარდოს მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება. მან მატერიალურ სიდუხჭირეზე კი არ უნდა იფიქროს, არამედ აღსაზრდელებზე, პედაგოგის დიდი მისიის შესრულებაზე და მუდმივად იმაღლებდეს კვალიფიკაციას. ეკონომიკური დამოკიდებულობის გარეშე, პიროვნული თავისუფლება ფიქციაა. თავისუფალი პედაგოგი თავისუფალ, ლაღ ახალგაზრდებს გაზრდის. მასწავლებელთა ანაზღაურების

გაზრდა, კვალიფიციური, ახალგაზრდა კადრების მოზიდვის საშუალებასაც მოგვცემს.

ისეთი გამოცდები – საატესტაციოს ვგულისხმობ – აუცილებლად უნდა გაუქმებულიყო. სხვაგვარად ეს ფარსი თაობებს დაღუპავდა, მოქმედებდა უზარმაზარი შავი ბაზარი, რაც მშობლების ისედაც მჭლე ჯიბეებს „ძირას აძახებინებდა“. მერედა, რეპეტიტორებთან საგამოცდოდ მომზადებას ცოდნა ჰქვია? ჩააბარებდნენ გამოცდებად „ცხელ“ ფარსს და საჰაერო ბუშტებივით დაიცლებოდნენ ამ ვაიცოდნისგან. თუმცა, ვფიქრობ, გამოცდები მაინც საჭიროა. მაგრამ ეს მართლა გამოცდები უნდა იყოს. ბავშვების ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე მორგებული, კვალიფიციური და ობიექტური გამოცდები. რატომ მიმაჩნია, რომ გამოცდები საჭიროა?

ცალკერძ, მოსწავლეს ცხადად დაანახვებს, სად წარმატებულია, სად კი უჭირს; პედაგოგიც თვალნათლივ იხილავს თავისი მუშაობის „შუქ-ჩრდილებს“ და ერთად შეუდგებიან (აუცილებლად უნდა შეუდგნენ!) მიღწეულის განვითარებასა და

წუნის გამოსწორებას. თანაც, ცხოვრებაც ხომ ერთგვარ ეტაპებად დაყოფილი დიდი გაზრდა, კვალიფიციური, ახალგაზრდა კადრების მოზიდვის საშუალებასაც მოგვცემს.

უმთავრესი კი სწავლების ხარისხის განუხრელი ამაღლებაა. ეს პედაგოგების უპირველესი მოვალეობაა და მათ საამისოდ სათანადო პირობები უნდა ჰქონდეთ, შიშველი ენთუზიაზმით შორს ვერ წავალთ. აი, ასე იკვრება წრე.

პედაგოგი სამაგალითო უნდა იყოს შინ და გარეთ. წვრილმანი არაფერია. წვრილმანად მიჩნეული, სამწუხაროდ, მსხვილმან პრობლემად შემოგვბრუნებია. ამიტომ ერთნაირად მნიშვნელოვანია პედაგოგის თავდაჭერა, მიმიკა, ჟესტი, ინტონაცია; მთლიანად ქცევის კულტურა. ეს განსაკუთრებით აუცილებელი განსაკუთრებით დაწყებით კლასებშია, რადგან თავიდან მრუდედ წასული ნერგის გასწორება ძალზე ძნელია, მოცდაა? ვგონებ, უკეთესია, თუ ასეც მოვამზადებთ ყმაწვილებს ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად.

ხშრიად კი – შეუძლებელი. ამიტომაა ასეთი მნიშვნელოვანი უწყვეტი განვითარება. მუდმივი ლტოლვა სრულყოფისაკენ.

რთულ, მაგრამ საინტერესო ჟამს ვცხოვრობთ. მრავალი გამოწვევაა და აღსაზრდელები მაქსიმალურად უნდა მოვამზადოთ მათთან შესახვედრად. შეფასების კრიტერიუმად მხოლოდ ცოდნა აღარაა საკმარისი. ყმაწვილები სამშობლოს მოყვარულ, პატრიოტ პიროვნებებად, ქართველებად აღვზარდოთ. გავასიგრძეგანებინოთ „ვისი გორისანი არიან“. მტერი ყველაზე მოწყვლად ადგილს არჩევს. ყველაზე მოწყვლადი ბავშვები, მოზარდები არიან. ამიტომ უნდა ჩავუნერგოთ, ყოველივე ის, რითაც ერი ერობს, რითაც განსხვავდება სხვათაგან, რაც მხოლოდ მისია და განუმეორებელი. თუ შენი არ შეიყვარე, გაითავისე, ვერც სხვისას სცემ პატივს, დააფასებ.

ნათქვამია, მარტო კაცი ჭამაშიც ბრალიაო. 55-ე სკოლის 50-ვე პედაგოგი (მათგან – 23 სერთიფიცირებულია) ერთ გუნდად შეკრული განუხრელად, ყოველდღიურად იღვწის ზემოთქმულის მისაღწევად. დიდი მადლობა მათ!

სხვა სახელმწიფოებისგან განათლების სფეროდან ბრმად გადმოტანილი, ან შეკონწიწებულ-შელამაზებული სწავლა-აღზრდის სისტემა ვერას გვარგებს. პირიქით, გვაზიანებს. ამიტომ უნდა შევქმნათ განათლების ჩვენეული – ქართული, ეროვნული მოდელი. ამის წინაპირობები აშკარაა, ბოლოსდაბოლოს, „დედაენისა“ და „განწყობის თეორიის ავტორთა ერი ვართ!“

დირექტორის ნათქვამიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ სკოლის ყველა პედაგოგს, ყველა მუშაკს გათავისებული აქვს რეფორმის პრიორიტეტული მოთხოვნები და მზადაა მის შესასრულებლად.

კონსტანტინე გურგენიძე

მერი ნაკაშიძის სახელობის ხელოვნების სკოლა - 50

აქ ნიჭიერი მაესტროები ფრთიანდებიან

ესთეტიკური აღზრდის ჩინებული კერაა თბილისის მერი ნაკაშიძის სახელობის მე-17 ხელოვნების სკოლა. აქ მაღალკვალიფიციური პედაგოგების წყალობით, მოსწავლეები მუსიკასაც სწავლობენ და დიდ ხელოვნებას ეზიარებიან.

სახელოვნებო სკოლა უკვე 50 წელიწადია არსებობს და ამ ხნის მანძილზე, ვინ მოთვლის რამდენ მუსიკოსსა და შემოქმედს გაუკვალა გზა. ღვაწლმოსილი პედაგოგები დღემდე პირნათლად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას და უნდა ითქვას, ენთუზიაზმის ხარჯზე განაგრძობენ სკოლის ღირსეულ ტრადიციებს. სკოლის კონტინგენტი, წლების მანძილზე სისტემატურად მონაწილეობენ კონკურს-ფესტივალებში, საიდანაც ყოველთვის სიგელებითა და დიპლომებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან. სკოლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და აღჭირვილია თანამედროვე ინვენტარით, მუსიკალური ინსტრუმენტებითა და სასწავლო ლიტერატურით. აქ ფუნქციონირებს სხვადასხვა მუსიკალური განყოფილებები: საფორტეპიანო, საორკესტრო, თეორიული, ხალხურ საკრავთა შემსწავლელი ჯგუფები. სკოლაში მოღვაწეობენ კვალიფიციური კონცერტმაისტერები.

ხელოვნების სკოლის დირექტორია არაჩვეულებრივი ქალბატონი, შესანიშნავი ხელოვანი, ფორტეპიანოს მასწავლებელი **ნელი გეფერიძე-ჩაჩუა.** ქალბატონი ნელი უკვე 50 წელიწადია , დიდი რუდუნებით ემსახურება საკუთარ პროფეისას და თავდაუზოგავად იღწვის სკოლის წარმატებისთვის. იგი ცხრა წელიწადია ხელმძღვანელის პოზიციაზეა და სკოლისთვის ბევრი რამ გააკეთა.

ნელი გეფერიძე-ჩაჩუა: აღნიშნულ სკოლაში 25 წელიწადია რაც ვმუშაობ. შარშან მე შემისრულდა პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი, ხოლო ხელოვნების სკოლას კი - წელს. თავდაპირველად აქ სასწავლო ნაწილის პოზიციაზე ვმუშაობდი. მყავს არაჩვეულებრივი კოლექტივი, მეგობრული და გულისხმიერები. დასანანია, რომ ახალგაზრდა თაობა ნაკლებად ინტერესდება ჩვენი პროფესიით... ამჟამად, სულ 100-მდე მოსწავლე გვყავს. აქ ბავშვები ეუფლებიან: **ფორტეპიანოს, ვიოლინოს, გიტარას** და **საესტრადო სიმღერებს.** თბილისის მერიის ხელშეწყობით შენობას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, შევიძინეთ ახალი ინსტრუმენტები და ინვენტარი. სასწავლო პროცესი შესანიშნავად მიმდინარეობს. მხარში მიდგას მთელი კოლექტივი, ჩემი მოადგილე, სასწავლო ნაწილის გამგე **ნანა მეთოფიშვილი,** ბუღალტერი **ლია ხარტონიშვილი,** ბიბლიოთეკარი და პროფკავშირების თავჯდომარე **მანანა ცინცაძე-ძნელაძე.** კვალიფიციური პედაგოგები: **ლიუდმილა ჩეკმენევა, ნატალია პონომარიოვა, ციცინო ნარმანიძე, ინგრიტა კოსტანიან, ოლღა ვართანოვი, თინათინ იმერლიშვილი, დეა დაუშვილი, ქეთევან ბერიძე, ინესა მამიანი, მანანა გოდაძე, სვეტლანა გალიჩიანი** და **ნატალია გუგეშაშვილი.**

აღსანიშნავია, რომ ხელოვნების სკოლა დაარსების დღიდან სისტემატურად მონაწილეობს შიდა სასკოლო, საქალაქო,რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ფესტივალებში, საიდანაც მოსწავლეები

წარმარტებით ბრუნდებიან და პირველი და მეორე ადგილის მფლობელები ხდებიან. ასევე, წარმატებულ მოსწავლეებს მიღებული აქვთ **„გრანპრი“,** ოქროს და ვერცხლის მედლები.

სკოლას ჰყავს სასწავლო შემოქმედებით პროცესში გამოვლენილი განსაკუთრებული მონაცემების მქონე მოსწავლეები, რომლებიც მერიის დაფინანსების პროგრამაში არიან ჩართულნი (ამავე პროგრამით ფინანსდებიან მათი პედაგოგებიც), ესენია: **ანა** და **ვალენტინა ოგანეზოვები, კესო ბაბლიშვილი, ნიკიტა სარქისიანი, მარიამ მაღრაძე, მარიამ ლომიძე** და **ანა იარაჯული.** წარმატებულ მოსწავლეთა სიაში არიან ასევე, **ანა მაჩაბელი, დავით ალუღიშვილი, ანასტასია** და **მარიამ დიხამინჯიები, სალომე ქავთარაძე, ანანო ბიწაძე, გიორგი კვიციანი** და სხვები.

საგულისხმოა, რომ ხელოვნების სკოლაში არსებობს ორსაფეხურიანი სწავლება, 6 წლიანი და 9 წლიანი. მოსწავლეები ეუფლებიან ინსტრუმენტს და თეორიულ საგნებს. წარჩინებულები კი, სწავლას აგრძელებენ ნიჭიერთა ათწლედში. სკოლას ეამაყება, რომ წარჩინებული ძმები **შმაგი** და **გაგი სიხარულიძეები** ამჟამად, სწორედ აღნიშნულ სასწავლებელში აგრძელებენ სწავლას. ასევე, **ანა კვიციანი** ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეა, ხოლო **თამაზ კაკაბაძე** გერმანიის ქალაქ **ბრემენის** მუსიკალურ კოლეჯში განაგრძობს სწავლას.

შემოქმედებითი პროცესი აქ წარმატებით მიმდინარეობს. დირექტორისა და პედაგოგების ძალისხმევით, წელს უკვე 5 კონცერტი და სხვა სახის საკონკურსო ღონისძიებები ჩატარდა. სამომავლოდ კი დაგეგმილია მუსიკალურ კონცერტებში და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობა. აქ ხელოვნების გაბრწყინება სახეზეა, რა თქმა უნდა, იუბილეს შესაფერისად.

მზია გოგოძე

ფილოლოგის ფიქრები

უბედურების მომტანი უცხო ოთარ ჭილაძის რომანში — „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“

ოთარ ჭილაძის რომანი **„გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“** 1973 წელს დაიწერა, როცა ჩვენი ქვეყანა დიდი საბჭოთა იმპერიის კედლებში იყო ჩაშენებული; დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა, დამოუკიდებლობა, მონობის ხუნდებში იყო გაკრული და ინტერნაციონალიზმის , კოსმოპოლიტიზმის საბჭოთა ბანგით იყო მიძინებული.

ოთარ ჭილაძე, როგორც გონებაგაღვიძებული, პროგრესული იდეოლოგიის მატარებელი სამწერლო ინტელიგენციის წარმომადგენელი, ეძებდა სამშობლოს უბედურების მიზეზებს, სწორად, სიღრმისეულად ჭვრეტდა საქვეყნო ტრაგედიას, მაგრამ საბჭოთა წითელ ცენზურას მარწუხებში ჰქონდა მომწყვდეული მართალი, ობიექტური აზრი. ამ დროს მწერლები ამოფარებოდნენ იგავებს, ალეგორიებს, სიმბოლოებს, რათა შიფრით ნაწერით, კოდირებული სახეებით გაეცხადებინათ სინამდვილის არსი, რათა დამონებულ, წითელლულიან ქვეყანას ეპოვა მართებული გამოსავალი.

ასეთ ხერხს მიმართავდნენ ჩვენი დიდი კლასიკოსებიც: კონსტანტინე გამსახურდია , მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი.

ოთარ ჭილაძემ სცადა ისტორიის სიღრმეებში ჩაეხედა, რათა გაცნობოდა ქართულ ფენომენს, ჩვენი ერის ხასიათის თავისებურებებს და სწორი დასკვნები გამოეტანა. სწორედ ამ მიზნით მწერალმა მიმართა არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის ისტორიას და ასე მიაგნო იმ ჭეშმარიტებას, რაც შეიძლება ერის უკვდავების გარანტად მივიჩნიოთ.

რომანში **„გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ ოთარ ჭილაძემ** მოიმარჯვა არა მარტო ისტორიკოსის, არამედ ფილოსოფოსის, ფსიქოლოგის, მითოლოგის მზერა, გადაიხედა წარსულშიც და მომავალსაც მიაწვდინა თვალი.

ერთ-ერთი უმთავრესი თემა რომანისა არის ქართული ეროვნული ცნობიერების უმთავრესი თავისებურების გარკვევა, კერძოდ, მიმართება უცხოსთან, უანგარო, უანგარიშო, განურჩეველი ჰუმანიზმი და ჩვენთვის უბედურების მომტანი უცხოს დანახვა, ჩვენი ქვეყნის ტრაგედიის ახსნა სუბიექტური და ობიექტურ, შინაური და გარეშე მიზეზებით.

მთელ რომანს გასდევს სახე ჩვენთვის უბედურების მომტანი უცხოელებისა ,ამასთან, ნაჩვენებია ქართველისთვის დამახასიათებელი უანგარიშო, წინდაუხედავი სიკეთის სავალალო შედეგები.

რა არის ერის, ეროვნულობის, მარადიულობის გარანტია მისი სიმტკიცის დულაბი -ეს ჩვენი ხალხის განუშორებელი საფიქრალია. ამ იდეას ემსახურება ოთარ ჭილაძეც, როგორც მწერალი და მოქალაქე.

რომანის ავტორის მრწამსი ნასაზრდოებია შორეულზე შორეული წყაროებით, გამდიდრებულია პირადი გამოცდილებით, დაკვირვებით და მიკვლეულია უცდომელი, მარადიული ჭეშმარიტებები.

ერთ-ერთი და უმთავრესი წყარო მწერლისა, ვფიქრობ, ბიბლიური სიბრძნე უნდა ყოფილიყო.

„გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ მრავალგზის შეგვახსენებს ეროვნული იდეოლოგიის, რელიგიური რწმენის, ეროვნული ტრიადის ერთგულებას, რომანში საუბარია უცხოელთან მიმართებაზე, აქცენტირებულია **„მორღვეული ღობე-ყორე“**, ოქროს საწმისი, ბუდე და საფლავი, გუგულის კვერცხი, ნარ-ეკალი, ბორკილი, გველის შხამი და გველკაცი, ხიზანი, მტრის შავი ფლოტი, შავი კაცი, სვავი, მარყუჟი, მწყემსი, ჭაობი, მღვიმე, არტახი, ორმო, ფრენა და დაცემა.

სინამდვილის არსის გასახსნელად მწერალი მრავალგზის მიმართავს ხილვებს, ზმანებებს, სიზმრებს, წინასწარმეტყველურ ინტუიციას და უნდა ითქვას, რომანი მართლაც წინასწარმეტყველურია.

ოთარ ჭილაძის რომანში **„გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“** მოქმედება ხდება კოლხეთში, ვანში, რომელსაც მართავს ლეგენდარული მეფე აიეტი. ამ სახელმწიფოს სიდიადის დასტურია დარიაჩანგის მარადმწვანე, ედემივით მომხიბლავი ბაღი, ოქრომჭედლების უბანი. ვანის სახელი არის გავარდნილი, იგი ბერძენთათვის საოცნებო ქვეყანაა თავისი სიმდიდრით, განათლების დონით და უცხოები შურის თვალს არ აცილებენ მას.

აიეტმა შეიხიზნა ფრიქსე და მერე დაასკვნა, რომ ბოროტების მოტანა შეუძლია უთავბოლო, უანგარო სიკეთესა და ხელგაშლილობას. ფრიქსეს კვალს გამოჰყვნენ არგონავტები იასონის მეთაურობით და დაიპყრეს უძველესი კულტურის კოლხეთი.

ქვეყნის დაქცევის მიზეზი გახდა , როგორც გარეშე ძალის ვერაგული ზრახვები, ისე აიეტის უზომო, გულუბრყვილო სიკეთე უცხოელთან გამოჩენილი, ამასთანავე, მეფობისას დაშვებული შეცდომები, მის მიერ განდევნილი მოწინააღმდეგეები, რომლებიც საბერძნეთში კოლხეთის ბნელ ძალებს დაუკავშირდნენ, რადგან ეგონათ სამშობლოს ემსახურებოდნენ, სინამდვილეში მტრის ხელში ბრმა ძალები იყვნენ.

რომანის ავტორის აზრით, ხანდახან ზღვარგადასული სიკეთე ქვეყნის საზიანოდ მუშაობს. სამშობლოს შენარჩუნებას ეროვნული იდეოლოგია, რწმენა და გონიერი სიფხიზლე სჭირდება.

სამშობლო ღმერთმა გააჩინა და კოსმიური ჰარმონიის დარღვევაა ერთი ქვეყნის მიერ მეორეში შეჭრა.

გუგულის მეთოდით სხვისი კუთვნილის დაუფლებას ეშმაკი ჩააგონებს ადამიანს.

უცხო თესლის შემოჭრა მშობლიურ მიწაზე კატასტროფის გამოწვევაა. ქართველ ხალხს ბევრი ჭირი მოახვია თავს გუგულის პრინციპით მოარსებე უცხო თესლმა (გვ.321).

ეს ღვთაებრივი სამართლიანობის დარღვევაა.

ამ შემთხვევაში ხიზანიც ზიანდება, რადგან სხვის მიწაზე ადამიანის შესაძლებლობები სწორად და მთლიანად ვერ ვითარდება.

ასიმილირების პროცესი ორი ერიდან ერთ-ერთს კი არ ტოვებს, არამედ „ორივე ერს სპობს და წარმოშობს მესამეს, რომელიც არც პირველი იქნება და არც მეორე. ადამიანი არ არის ვაშლი, ადამიანი ფენომენია ღვთის ხატად ღვთისგან გაჩენილი. სამშობლო ფენომენია, კაცობრიობის სისტემაში პლანეტად ჩართული.

- როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა-ეს სიტყვები აწერია ქართული სულის დროშას (გვ.322-323)

ანუ აბორიგენი ერი შეწუხებულია უცხო მოძალადეებით, ხიზნებიც დაღუპული არიან სულიერად.

დემოკრატიული ბალანსის დარღვევა კატასტროფაა ორივე მხარისთვის, გამოსავალია **„კოსმოსური ზნეობრიობის“** კაცობრიულ ზნეობრიობად გამოცხადებაში (**ჯანსუღ ღვინჯილია**).

თამარ ონიანი,
თბილისის 83-ე საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი.

მაღალ შედეგებზე ორიენტირებული 108-ე სკოლა

აღზრდა და სწავლება რეფორმის მხარდამხარ

„შეუქმნას თითოეულ მოსწავლეს უსაფრთხო და მზრუნველი გარემო, იზრუნოს არამარტო მაღალ აკადემიურ მაჩვენებელზე, არამედ განუვითაროს პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი. ასწავლოს მათ განსხვავებული აზრის პატივისცემა, ხელი შეუწყოს შეითვისოს და საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს დასავლური ღირებულებები და ფასეულობები''-აი, ასეთია ძირითადი მისია, თბილისის 108-ე საჯარო სკოლისა, რო-

მელიც ერთ-ერთი მოწინავეა და მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული..

სკოლაში, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი სიახლეების ფონზე მიმდინარეობს, რაც დირექტორის **მაია მღვდელაძის** დამსახურებაა. მას მხარში უდგანან მაღალკვალიფიციური კადრები, მოადგილე **ნინო არობელიძე** და **თამარ გალეგაშვილი.** დირექტორის მარჯვენა ხელია საინფორმაციო მენეჯერი **სალომე რაზმაძე.**

ქალბატონი მაია ექვსი წელიწადია აქ დირექტორია და ამ ხნის მანძილზე, მართლაც ბევრი რამ გააკეთა. სკოლაში მოაწესრიგა ინფრასტრუქტურა, სასწავლო პროცესში ბევრი სიახლე დანერგა. ძალიან უყვარს სკოლა და ამიტომაც, ყველაფერს აკეთებს, რომ ბავშვებმა თავი კომფორტულად იგრძნონ, თან შესაბამისი ცოდნა მიიღონ. მუდამ შემოქმედებით ძიებაშია და სკოლის ტრადიციას ინოვაციით ამდიდრებს. სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოები სამომავლოდაც არის დაგეგმილი.

108-ე სკოლა სხვა სასწავლებელთაგან გამორჩეულია ინტელექტუალური ძალების სიმრავლით, წლების მანძილზე, მოსწავლეების მიერ მიღებული სიგელები და სხვა წარმატებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ სკოლის კურსდამთავრებულები მუდამ გამოირჩეოდნენ აქტიურობით ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქაურ მესვეურებს ეამაყებათ რომ მათი კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ და სწავლობენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

სკოლის წარმატებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა და ამჟამად 1332 ბავშვია. აქ ასევე სწავლობს 21 სპე-



ციალური საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე, რომელთანაც წარმატებით მუშაობენ სპეციალური პედაგოგები: **სოფიკო ცირგაია, მარი ბარნაბიშვილი, ანა გონიაშვილი** და **ვიქტორია ჯიქია**. ეფექტურად მუშაობს სკოლის თვითმმართველობა - თავმჯდომარე **მარიამ შონია.** ასევე დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობას. შარშან, სკოლას ორი ოქროს მედალოსანი ჰყავდა **მარიამ ალადაშვილი** და **მარიამ გაფრინდაშვილი,** ხოლო ერთი - ვერცხლის მედლის მფლობელი **მირიან მირიანაშვილი,** რომლებიც წარმატებით ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში.

პროფესიონალი პედაგოგები თავს არ ზოგავენ, რათა მოსწავლეებს ხარისხიანი განათლება მიაწოდონ. კარგად არის შეფასებული კათედრების მუშაობა. სულ 8 კათედრაა და გაგაცნობთ მათ ხელმძღვანელებს: ქართული ენა და ლიტერატურა - **მარიამ ბლიაძე,** მათემატიკა - **ლალი გამეზარდაშვილი,** დაწყებითები - **სოფიკო ბაკუზანაშვილი,** საზოგადოებრივი მეცნიერება - **ნინო ქევხიშვილი,** საბუნებისმეტყველო მეცნიერება - **ასმათ ბასაძე,** ესთეტიკა - **მაკა შუღლიაშვილი,** სპორტის **ნანა ვეშაპიძე** და უცხო ენების **ხათუნა ბეგიაშვილი.**

108-ე სკოლაში, სისტემატურად იმართება სხვადასხვა სახის შემოქმედებითი აქტივობები. მოსწავლები ხშირად მონაწილეობენ ოლიმპიადებში, კონკურსებში, საიდანაც სიგელებით და დიპლომებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან. ფუნქციონირებს საგნობრივი, შემოქმედებითი, ხელოვნების და სპორტის წრეები. მოსწავლეები მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში საკმაოდ წარმატებით. აგრეთვე, ჩამოყალიბებულია ინფორმატიკის კლუბი **„ციფრული**



მოქალაქე“. ასევე, სამოქალაქო კლუბი **„მაინდერები“.** სკოლაში ტარდება არაერთი ღონისძიება. აღინიშნა **„დედამიწის დღე“,** აუტიზმისა და დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

აღსანიშნავია, რომ 108-ე საჯარო სკოლაში ყოველთვის მოღვაწეობდა პედაგოგთა ძლიერი გუნდი. ისინი გამოირჩეოდნენ პრინციპულობითა და საგნის უზადო ცოდნით, აღსაზრდელებთან სანიმუშო ურთიერთობით. სკოლა მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული.

აქაური მესვეურები ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისთვის, რომ ღირსეული, განათლებული და თავისუფალი მოქალაქეები აღუზარდონ ქვეყანას.

მზია გოგოძე

სწავლების მეთოდიკა

ვაჟა-ფშაველას თხზულებების როლი დაწყებით საფეხურზე

ბუნება ღვთაებრივი ჰარმონიის გამოვლინებაა, ადამიანი კი ამ ჰარმონიის ნაწილი, და როგორიც უნდა იყოს მისი საამწუთიერო ინტერესები, იგი მაინც განწირული იქნება, თუ ბუნების გრძნეულ ენას ყურს არ მიუგდებთ, მის უხილავ სულიერებას არ ვირწმუნებთ და მის ტკივილს არ გავიზიარებთ. ამ სიტყვებს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ამბობდა **ვაჟა-ფშაველა**, ჯერ კიდევ მაშინ, როცა თითქმის არ იყო ის ეკოლოგიური პრობლემები, რომლის წინაშეც დღეს ჩვენ ვდგავართ. ვაჟა-ფშაველა, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ბუნების დიდ მგოსანს, რაც მან თავისი მოღვაწეობით დაიმსახურა და რაც გამოიხატება მის მიერ დანახული ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობაში, არის უნიკალური შედევრი, შედევრი ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის შესახებ, ასეც ბრძანებდა: **„ბუნება ჩვენშია, ჩვენ ბუნებაში ვართ, ცოცხლებიც მისი ვართ და მკვდრებიც“.**

მსოფლიო ლიტერატურაში არ მოიძებნება მეორე პოეტი ან მწერალი, რომელთაც ვაჟასეული გონებითა და თვალით აღექვა ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობა. როცა იუნესკომ ვაჟას დაბადების 100 წლისთავი აღნიშნა, ნათქვამი იყო, რომ ფშაველი მგოსნის ენა და შემოქმედება ემსახურებოდა არა მარტო ჩვეულებრივი მკითხველის სულიერ ფორმირებას, არამედ მოზარდი თაობის ზნეობრივ, გონებრივ სწავლა-აღზრდის საქმესაც. ისე, როგორც დედა შვილს დედობრივი განცდებითა და სითბოთი უნერგავს სიყვარულის გრძნობას, რითაც აფაქიზებს, ასაზრდოებს და ამზადებს მომავალი ცხოვრებისათვის, ასევე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაც იმავეს და შეიძლება უფრო მეტსაც კარნახობს და აძლევს მოზარდ თაობას სულიერი, გონებრივი და ზნეობრივი განვითარება-ჩამოყალიბებისათვის, რაც საბოლოოდ გადაიზრდება იმ დიდ სიყვარულში, რომელსაც პატრიოტიზმი ჰქვია.

https://funtime.ge/ucnobi-fotoebi/post/90319-vazha-fshavela---chumi-geniosi-romlis-yubilemsofliom-arnishna

როცა დიდმა ილიამ ვაჟას მოთხრობა **„შვლის ნუკრის ნაამბობი“** წაიკითხა, თურმე ბრძანა: **„ახლა კი დროა, რომ ჩვენ, ძველებმა კალამი გვერდზე გადავდოთ და სამწერლო გზა ამ ახალგაზრდა ფშაველს დავუთმოთ“.** დაწყებით კლასებში, როცა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია მოზარდის გონება, რომელიც სათანადოდ ვერ აღიქვამს და ვერ აფასებს ყველაფერ იმას, რასაც თვალით ხედავს, გაუთვითცნობიერებულია ამა თუ იმ საგნის მნიშვნელობაში, თუ რისთვის არსებობს, აი სწორედ იქით არის მიმართული ვაჟას შემოქმედება, რომ გაუღვიძოს მოზარდს ინტერესი იმ საიდუმლოებაში ჩაწვდომისა, რომელსაც ის ვერ აღიქვამს; აქედან გამომდინარე შვლის ნუკრი უბრალოდ პატარა კი არაა, არამედ პაწაწაა; კი არ დარბის, არამედ კუნტრუშობს. . . დედის სიკვდილის მოწმე ნუკრი გავშეშდიო თავის თავზე კი არ ამბობს, არამედ გავისხიპეო; იგი ნამს კი არ სვამს, არამედ სუტავს **(გრიგოლ კიკნაძე, 1957 წ. ქართველი მწერლები სკოლაში, ვაჟა-ფშაველა, I ნაწილი, გვ.144).**

ვაჟას მთელი შემოქმედება გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ემსახურება ახალი თაობის აღზრდა- ჩამოყალიბებას, ბუნების აღსაქმელად სიყვარული ყვავილის, სიყვარული ფრინველის, სიყვარული ცხოველის, პირველი თოვლისა და ყველა იმ მოვლენისა, რომელიც ახალისებს და სიამოვნებას ჰგვრის, როგორც მოზარდს, ისე ზრდასრულს. სილამაზის დანახვა და სილამაზის განცდა არის მოზარდის ცხოვრებისადმი ინტერესის ამაღლება, რომ ამ თვალსაჩინოებით მიიღოს სულიერი კმაყოფილება და სიამოვნება.

ვაჟა-ფშაველა თავის შემოქმედებით გვასწავლის, ადამიანი სრულყოფილი მოქალაქე რომ გახდეს თავისი ქვეყნისა, სათანადოდ უნდა აფასებდეს სიყვარულს, სიხარულს, ტკივილს, სევდასა და ნაღველს, რომლებიც ჩვეულებრივი მოკვდავისათვის თანმდევი არის მთელი ცხოვრების მანძილზე, რომლებიც ჩვენს ერს მოსდევს შორეული წარსულიდან. წინაპრები გვასწავლიდნენ, რომ, თუ არ იცი ტკივილი, სიხარულის ფასს ვერ გაიგებ; თუ სხვისი ტკივილის განცდა არ შეგიძლია, თანამემამულეს თანადგომას ვერ გაუწევ. გავიხსენოთ „შვლის ნუკრის ნაამბობი“, რომელშიც ბუნების დიდმა მგოსანმა დაგვანახვა მართლა პირუტყვის განცდა კი არა, არამედ ჩვეულებრივი ადამიანური განცდა და ტკივილი, რომელიც თანმდევი იყო ასწლეულების მანძილზე. პატარა შვლის ნუკრის ნაამბობი ცრემლსა ჰგვრის არა მარტო პატარა მკითხველებს, არამედ დიდებსაც, რომ თურმე ცხოველს იგივე განცდა აქვს ობლობისა, დაუცველობისა, ტკივილისა და შიშისა, როგორიც ადამიანს. მოზარდში ამის წაკითხვის შემდეგ, იღვიძებს ინტერესი იმისა, რომ უყვარდეს თავისი ახლობელი და თავი დაცულად იგრძნოს.

დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის ასევე დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ვაჟას მოთხრობა **„ხმელ წიფელს“.** ამ ნაწარმოებში ჩვეულებრივი ხის განცდა და ტკივილი გათანაბრებულია ადამიანურ განცდასა და ტკივილთან, ვინაიდან წიფლის სიბერე გაიგივებულია ადამიანის სიბერესთან. მწერალი გვიჩვენებს, რომ „სიცოცხლის სიხარული“ მოძრაობაში მჟღავნდება. სიკვდილის პირას მდგომ ხმელ წიფელში ჯერ კიდევ არ გამქრალა წყურვილი სიცოცხლისა, მომავლის იმედი. მართალია **„გულში თითქო ღრმად ჩასჭდევია მწუხარება'', მაგრამ „სიცოცხლის სიხარულს“ კიდევ განიცდის, რადგან სწორედ ის ყლორტია მისი ნუგეში (გრიგოლ კიკნაძე, 1989 წ. ქართველი მწერლები სკოლაში, ვაჟა-ფშაველა, I ნაწილი, გვ.157).** ეს ხომ ჩვეულებრივი ადამიანის განცდაა სიბერის ჟამს, ასეთი ბუნების მოვლენების აღწერა დიდი სულიერი საზრდოა ახალი თაობის ფორმირებაში, რომელიც თავს ვალდებულად თვლის, იყოს თავისი ქვეყნის ერთგული შვილი, ბუნების ერთგული, ქომაგი და დამცველი ცხოველთა სამყაროს მიმართ, კეთილგონიერი დამოკიდებულების მქონე, რამეთუ, ადამიანი, ბუნება და ბუნების შვილები ერთი მთლიანობისათვის შექმნა ღმერთმა. რაც შეეხება ყველაზე ფასეულს, რაც ვაჟას ნაწარმოებებშია ასახული, ისაა, რომ **დიდმა მგოსანმა ენა ამოუდგა უსულო საგნებს: მდინარეს, ხეს, ქვას, ფრინველსა და ცხოველს, რომ ადამიანებს გაეთავისებინათ მათი არსებობის აუცილებლობა ცხოვრებაში.** მართალია, დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოში მცირე ნაწილია ვაჟას გენიალური შემოქმედებისა, სამაგიეროდ ინტერესს უჩენს მოზარდს, რომ უფრო სრულყოფილად გაეცნოს მის შემოქმედებას მაღალ კლასებში, აგრეთვე კლასგარეშე ლიტერატურის კითხვისას.

დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იაკობ გოგებაშვილთან ერთად, რომელმაც შექმნა **„დედა-ენა“** და ამით მყარი საფუძველი ჩაუყარა მოზარდი თაობის აღზრდა-განვითარებას, ვაჟა-ფშაველამაც თავისი შემოქმედებით არანაკლები როლი შეასრულა მოზარდი თაობის სულიერ, ზნეობრივ, მორალურ სრულყოფილებაში, ურომლისოდაც ერს შემდგომი განვითარება არ ექნებოდა.

შორენა ბერეშვილი,
თბილისის 83-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის უფროსი მასწავლებელი.

საგანმანათლებლო რესურსების მნიშვნელობა თანამედროვე სწავლებაში

რატომ არის სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენება მნიშვნელოვანი?

• რესურსი ეხმარება მოსწავლეს გაკვეთილის უკეთ გაგებაში.

• არის მეტი თვალსაჩინოება.

• სასწავლო პროცესი ხდება სახალისო და საინტერესო.

• ხდება მოსწავლეთა მეტი ჩართულობა.

• იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია.

• უმჯობესდება მოსწავლეების აკადემიური მოსწრება.

სწავლების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება. საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ მიმართულებით. საგანმანათლებლო რესურსი შეიძლება იყოს დამხმარე ლიტერატურა, ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება – ყველაფერი, რაც მასწავლებელს დაეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი შედეგების მიღწევაში.მასწავლებელმა უნდა იხელმძღვანელოს არსებული საგნობრივი სტანდარტით, პროგრამის შინაარსით და მასზე დაყრდნობით თავად უნდა მოიძიოს და მოამზადოს სასწავლო რესურსები.

რესურსები გაკვეთილს ხდის საინტერესოს, წარმოაჩენს მასწავლებლის კომპეტენციას, მოსწავლეებს აქტიურად ჩართავს პროცესში, იძლევა ინტერაქტივის საშუალებას.

აუდიო თუ ვიდეო მასალების გამოყენება მოსწავლეს პოზიტიურად განაწყობს, უადვილებს სწავლებას და ამასთანავე უძლიერებს შინაარსისადმი ინტერესს, ამდიდრებს სასწავლო პროცესს.

საგანმანათლებლო რესურსი ეხმარება მასწავლებელს ეფექტიანი გაკვეთილის ჩატარებაში.

როდესაც სასწავლო რესურსებზე ვსაუბრობთ, საგაკვეთილო პროცესში განსაკუთრებული როლი უკავია ვიზუალურ მხარეს, ვინაიდან მოსწავლეებისთვის უფრო მარტივია თვალით ნანახის დამახსოვრება და სწავლა. ვიზუალურ მხარეში იგულისხმება სურათები, რომელიც გარკვეულ ინფორმაციას შეიცავენ: რუკები, ანიმაციები, სიტყვები, რომლებიც გამოსახულია ნახატის სახით.

მასწავლებლის მიერ საგანმანათლებლო რესურსის დამუშავებისას ან შექმნისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რა ემოციურ განწყობას უქმნის ესა თუ ის რესურსი მოსწავლეს, განაწყობს თუ არა პოზიტიურად. ეს კი იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ რესურსის გამოყენება საშუალებას მისცემს მოსწავლეს, კომფორტულად იგრძნოს თავი და ჰქონდეს რწმენა, რომ შეძლებს სწავლას. ამის მისაღწევად აუცილებელია, სასწავლო რესურსი აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

• არ მოახდინოს მოსწავლეზე ზეწოლა, არ დაძაბოს და შეაშინოს იგი.

• მისმა გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის თვითრწმენისა და თავდაჯერების განვითარებას, ამიტომ მისი გამოყენებით მიმდინარე აქტივობები უნდა იყოს საინტერესოდ გამომწვევი და დაძლევადი.

• რესურსი უნდა იძლეოდეს უკუგებას სწავლის პროგრესის შესახებ, ეხმარებოდეს მოსწავლეებს საკუთარი თავის შეფასებაში და უბიძგებდეს მათ, იკისრონ პასუხისმგებლობა თავიანთ სწავლასა და პროგრესზე.

• რესურსის გამოყენების მეთოდიკა უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ სწავლის პროცესი, ისევე როგორც ზრდისა, თანდათანობითია და არა უეცარი და მომენტალური.

მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეების გამოცდილებას, მათ გარშემო არსებულ სინამდვილეს. გარდა ამისა, თემა უნდა იძლეოდეს რეალური მიზნებისთვის გამოყენების საშუალებას. რესურსის გამოყენებით შეიძლება ისეთი სავარჯიშოებისა და აქტივობების მოფიქრება, რომლებიც ცოდნის გამოყენების საშუალებას მისცემს მოსწავლეებს.

მასწავლებლის მიერ შექმნილი და გაკვეთილზე გამოყენებული რესურსი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს მასალის ათვისებაში, უნდა აჩვევდეს მას თავად სწავლის სწავლას, ეხმარებოდეს და უბიძგებდეს მიღებული ცოდნის საკლასო ოთახის გარეთ გამოყენებისკენაც.

რესურსი უნდა იყოს მოქნილი. ერთი და იგივე რესურსი შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა აქტივობისთვის, მაგ. როლური თამაშებისთვის, დებატისთვის, სხვადასხვა უნარ-ჩვევების გასავარჯიშებლად, განსამტკიცებლად და სხვა. ეს არჩევანი მასწავლებელმა შესაძლოა თავად მოსწავლეებს მიანდოს და ამით უფრო მეტად ჩართოს ისინი სწავლის პროცესში, ასწავლოს პასუხისმგებლობა საკუთარ შედეგზე.

რესურსმა მოსწავლეებს საკითხში ჩაღრმავების საშუალება უნდა მისცეს. კარგად შედგენილი რესურსი მოსწავლეს საკითხის ღრმად გაგებაში უნდა დაეხმაროს. განსაკუთრებით, დაწყებით კლასებში, როდესაც მოსწავლეების უმეტესობას ვიზუალური აღქმა აქვს განვითარებული.

სწორად და მიზნობრივად შექმნილი რესურსი ხელს უწყობს საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას; საგანთაშორისი კავშირები სწავლების უმნიშვნელოვანესი პრინციპია თანამედროვე სკოლაში. ის სწავლების უმაღლესი დონეა. სწორედ ის იძლევა ცოდნის სინთეზის შესაძლებლობას, გვეხმარება, ჩამოვუყალიბოთ ბავშვს ერთი სფეროდან მეორეში ცოდნის გადატანის უნარი, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნებისა და განზოგადების უნარის განვითარებას.

ვფიქრობ, დღეს ყველა პედაგოგი თანხმდება სასაწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების აუცილებლობაზე, დანერგვასა და გამოყენებაზე, რადგან გაიზარდოს მოტივირებული, მაღალი თვითშეფასების მქონე დამოუკიდებელი პიროვნება, რომელიც შეძლებს ცხოვრებაში წამოჭრილი ამოცანებისა და სირთულეების გამკლავებას და საკუთარი თავის რეალიზებას საზოგადოებაში.

თამარ მგალობლიშვილი,
სსიპ გოგიტა კიკნაძის სახელობის ქალაქ თბილისის 182-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:
**განვითარებისა და სწავლების თეორიები.*
**ეროვნული სასწავლო გეგმა*
http://mastsavlebeli.ge/uploads/resursebi/resursi%20bochorishvili.pdf

გაეცანით 45-ე ბაღის ცხოვრებას

აღზრდის ინდივიდუალური მეთოდებით წარმატებებს აღწევენ

დედაქალაქის ბაგა-ბაღებს შორის, ერთ-ერთი გამორჩეული და სანიმუშო საბავშვო დაწესებულებაა 45-ე ბაგა-ბაღი, სადაც აღსაზრდელებისთვის შესანიშნავი გარემოა შექმნილი. აქ ცუგრუმელებს დედობრივი მზრუნველობით ზრდიან და ასწავლიან ყველა იმ უნარ-ჩვევას, რაც მოზარდისთვის ცხოვრებაში აუცილებელია. ბაღს სათავეში უდგას მეტად გამოცდილი და ენერგიული დირექტორი **იზა კვანტიძე,** იგი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბავშვები კომფორტულ გარემოში აღიზარდონ და აქ გატარებული წლები ლამაზ მოგონებად დარჩეთ.

ბაგა-ბაღს ამშვენებს დიდი, გამწვანებული ეზო და სხვადასხვა საბავშვო ატრაქციონები. შენობის შიდა ინტერიერი ესთეტურად და გემოვნებით არის მორთულ-მოკაზმული. ბაღი უსაფრთხოა და ზედმიწევნით არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური წესები. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, იგი აბსოლუტურად მოწესრიგებულია... ბაღი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით.

45-ე ბაგა-ბაღში დამკვიდრებული აღზრდის მეთოდებით და პატარებთან სათუთი დამოკიდებულებით კმაყოფილი არიან მშობლები. დიდი ყურადღება ექცევა განსაკუთრებული საჭიროების მქონე (გსმ) ბავშვებს, რომელთა რიცხვი სულ 24-ია. აქ მაღალ დონეზე მუშაობს მულტიდისციპლინარული გუნდი, რომელთა შემადგენლობაში არიან ფსიქოლოგი **ლალი ნაზარაშვილი,** ლოგოპედი **მაია შიხიაშვილი,** საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ნანი ბერაია,** სპეციალური პედაგოგები: **ნანული აბუთიძე, ლელა ნადირაძე, თეა გაჩეჩილაძე, ნათია ფუხაშვილი, მარიამ ჯარმელიშვილი,** ასევე, პროფესიონალი აღმზრდელები: **მანანა ციცვიძე, მანანა ზაზიევი-პოღოსიანი, მაკა**

გიორგაძე, ანა ჯანიაშვილი, მანანა ქველაძე, ნინო განქველაშვილი, ანა მესხორაძე, ირმა ბერიძე, ქეთინო მესხორაძე, მარიამ ფუტკარაძე, მაია ვაშაყმაძე, ნატო იაშაღაშვილი, ხათუნა ხავთასი, ნანი ნახუცრიშვილი, მანანა ზაქარეიშვილი და მათ მხარში უდგანან აღმზრდელის თანაშემწეები.

დირექტორის თქმით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბაგა-ბაღების სააგენტოს ყურადღება და თანადგომა გსმ აღსაზრდელების მიმართ, რაც გამოიხატება იმაში, რომ საჭირო კადრების მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნული უწყება სრულ მხარდაჭერას და მზადყოფნას გამოხატავს.

ბაგა-ბაღის მულტიდისციპლინარული გუნდის მუშაობის პრინციპებსა და აღზრდის მეთოდებზე გვესაუბრება ფსიქოლოგი **ლალი ნაზარაშვილი.**

-მოგეხსენებათ, რომ განსაკუთრებული საჭიროების აღსაზრდელებისთვის აღზრდის მეთოდი სპეციფიურია. ამჟამად ბაღში სულ 24 გსმ აღსაზრდელია, რომელთანაც მუშაობა ინდივიდუალურად მიმდინარეობს, რათა ხელი შევუწყოთ მათ ჯგუფში ინტეგრაციას. აქ უმნიშვნელოვანესია მშობლების როლი, მათთან კომუნიკაცია, რომლის საფუძველზე ვიღებთ სრულ ინფორმაციას. გსმ აღსაზრდელს სანამ ჯგუფში შევიყვანთ, მანამდე მიმდინარეობს მასზე დაკვირვება რესურს ოთახში, შემდეგ ვაწარმოებთ მდგომარეობის შეფასებას. აქ ყურადღება ექცევა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, სოციალურ უნარებს, მეტყველებას, ქცევას, ფსიქო-მოტორულ განვითარებას, ძლიერი და სუსტი მხარეების აღნუსხვას და სპეციალურ შეფასებას, რომლის შემდეგ მშობელთან შეთანხმებით, ინდივიდუალური გეგმის შედგენა წარმოებს. მულტიდისციპლინარული გუნდი ერთობლივად ვაყალიბებთ მოკლე და გრძელვადიან მიზნებს, სადაც გაწერილია გსმ აღსაზრდელებისთვის განკუთვნილი შესაბამისი აქტივობები. ჩვენი კონკრეტული მიზანი კი მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვი მთლიანად და თანაბრად უნდა იყოს ჩართული ჯგუფის აქტივობებში, რომელთა განხორციელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის სპეცპედაგოგებს და აღმზრდელებს. ისინი ზოგჯერ ინდივიდუალურად მუშაობენ, რადგან საწყის ეტაპზე, პატარა უნდა ადაპტირდეს ჯგუფებში მის თანატოლებთან და სოციუმთან. ასევე, სისტემატური კომუნიკაცია გვაქვს მშობლებთან. გსმ აღსაზრდელები ბაღის პარალელურად, სარეაბილიტაციო ცენტრებში, ქცევითი თერაპიის კურსს გადიან და ჩვენ ექიმების რეკომენდაციებსაც ვითვალისწინებთ. ინდივიდუალური გეგმის შედგენა მიმდინარეობს წლის დასაწყისში და მეორე სემესტრში. აქვე ვაწარმოებთ უწყვეტ, შიდა მონიტორინგს და ვაფასებთ განეული მუშაობის შედეგებს, რომელიც აშკარაა და ძალიან კმაყოფილები ვართ. გსმ აღსაზრდელები უკვე მონაწილეობენ ასაკის შესაბამის სხვადასხვა აქტივობებში, ემორჩილებიან აღმზრდელებს, მოწესრიგებულები არიან, გათავისებული აქვთ ბაღის სარეჟიმო წესები, ათვისებული აქვთ თვითმომსახურების უნარი და უკეთ მეტყველებენ. ჯგუფებში სხვა აღსაზრდელებთან თბილი და მეგობრული დამოკიდებულება აქვთ და ვერ გრძნობენ განსხვავებას, პირიქით, მათ განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობიან.

საგულისხმოა, რომ 45-ე ბაგა-ბაღის მულტიდისციპლინარული გუნდის მუშაობით კმაყოფილი არიან დირექტორი და მშობლები. აქ პატარები უსაფრთხოდ არიან და თავს დაცულად გრძნობენ. წარმატებით მუშაობს **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა და ხშირად იმართება სეზონური ზეიმები. ასევე, აღინიშნა აუტიზმის და დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეები, სადაც პატარებმა თავიანთი ხელით შექმნეს, აპლიკაციები, გააფერადეს სიმბოლოები.

ქალბატონი **იზა კვანტიძე** კმაყოფილია კოლექტივის და ბაგა-ბაღების სააგენტოს მხარში დგომით. დირექტორმა. აქვე გამოთქვა თავისი მოსაზრება ბავშვთა რაოდენობის ზრდასთან და ჯგუფების გადატვირთვასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, ძნელია პატარებთან თემატურად და ინდივიდუალურად მუშაობა. დიდი პასუხისმგებლობა აქვთ აღმზრდელებს. **სასურველია, გსმ აღსაზრდელებთან დაკავშირებით, დამატებითი სემინარ-ტრენინგების ჩატარება სპეციალურად აღმზრდელებისთვის.**

ანანო სამელია

ჩვენი ლიტერატურული სივრცე

პოეტური რომანტიზმის მიმდევარი


მიმოზა ჩარგაზია

ოჯახშიც *პოეტური ბუნებისაა. მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილი, თავად მრავალშვილიანი დედა (წარმოშობით მარტვილის რ-ნის სოფ კურზუდან), საკუთარი ხმის პოეტი* ***მიმოზა ჩარგაზია.*** *სკოლის მერხიდან გამოჰყვა პოეზიის სიყვარული და მადლი. უკვე, როგორც იტყვიან, დაღვინებული პოეტი გახლავთ - ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს ლექსები, ფართო საზოგადოების წინაშეც წარდგენილი აქვს ბევრი ნიმუში. გთავაზობთ ბოლო ხანებში შექმნილ მის ნაკალმარს. მკითხველმა თავად იმსჯელოს ამ სტრიქონების ავ-კარგიანობაზე.*

წმინდაო გიორგი!

ამ მთაზეც, იმ მთაზეც შენა ხარ,
წმინდაო გიორგი! მფარველო,
შენ ჩვენთვის რწმენა ხარ, ზენა ხარ,
ჩვენ, შენით, დღესნამდე ვქართველობთ!
არ უშინდებოდი განსაცდელს,
ქართველიც ბევრ ომში იბრძოდა,
თეთრ მხედრად ახსოვხარ, მრავალ ველს,
ქართველმა შენ, გმირი გიწოდა...
წმინდაო გიორგი! მფარველო,
ამ შენს, გეორგიას სჭირდები,
დღემუდამ ილოცე მთა-ველო!
აღზარდე კვლავ ქვეყნის გმირები...
გველეშაპს ხვალ ისევ განგმირავს,
თეთრ ცხენზე, თეთრ ჩოხით იელვებს,
ამ მთაზეც, იმ მთაზეც აგიყვანს,
და რწმენით გაჩუქებს იმედებს...
ალერტში რეკავენ ზარები,
მოდისო მხსნელი და მფარველი,
გულებში გავუღოთ კარები,
გიორგი! შენ გელის ქართველი!

წარსულის სურათი

მახსოვს ბუხარზე ეკიდა „ნაჭა“
ნაჭაზე შავზე-შავი „კარდია“,
თუმც ბებომ ხშირად ხეხა და ფხაჭნა,
ცეცხლმა სითეთრე არ აპატია...

მახსოვს დედალიც იწვოდა იქვე,
და ნაკვერჩხალზე შხიოდა ცხიმი,
მახსოვს ბებიას პატარა „ქვინჯე“,
„ურცხო სუნელი“, „ნეძი“ და „ქინძი“...

და, მოლოდინი, სიამით სავსე,
„საცივის“, „ღომის“, ჰო, მიყვარს ხორცი,
მე დოქს ანკარა წყაროს წყლით ვავსებ,
იქვე, „ქუხნა“-სთან , უკან, რომ მოდის...

მახსოვს და... ვაი, რომ მხოლოდ მახსოვს,
სადღაა ბებო, ვინ ხმარობს „ქვიჯას“,
ოცდამეერთე განდევნის, აქრობს,
„ბლენდერის“ ხანა, წარსულთან მიჯნას...

თუხთუხებს ახლა ღერღილი გაზზე,
და ბუხრის კვამლი არ ჰბურავს სოფელს,
„ბარკალს“ ან ზოგჯერ „გაყინულ ქათმებს“
„აშიშხინებენ“, - გულს სევდას მოჰფენს!..

ბუხარში ცეცხლი აღარ გიზგიზებს,
ანტიკვარივით შემორჩა ოდას,
ვერ სწვდება ბოლი, მაღლა ცის კიდეს,
ალის ტკრციალი არ არის მოდა...

არა და, როგორ მიყვარდა ფერთა,
გადასვლა, ცეცხლის ენების კრთომა,
და ბუხრისპირას წაკითხვა ლექსთა,
ბებოს ამბების მოყოლა, თხრობა...

მორჩა წარსული, აწმყო არ არის,
ველარც მომავლის შეაღებს კარებს,
იქვე, ბებოსთან რჩება ზღაპარი,
აქედან ახლა თვალს გავაპარებ...

ჰო, კარგი იყო: ბუხარი, ნაჭა,
ნაჭაზე შავზე-შავი „კარდია“,
მაგრამ დრომ ყოფა ანაცვლა, პრანჭა,
ცეცხლის ალს ბოლი არ აპატია!..

წმინდაო ნინო!

წმინდაო ნინო, ევედრე ღმერთსა
კვლავ შეწყალებად სულთა ჩვენთათვის;
მეოხ გვეყავი წინაშე უფლის,
რადგან ვირხევით ვითარც ლერწამნი.
აღგვინთე გულში ძლიერი გრძნობა,
ამქვეყნად მხოლოდ სიკეთეს ვთესდეთ,
არს საზღაური უცილოდ დიდი,
იმათი, ვინაც უფალსა ესვენ.
შენ გაგვანათლე, აწც გვიწინამძღვრე,
უფლის კარამდე , დაო, წმინდაო!
ორთავ სოფელსა გვფარვიდეს უძლურთ,
შენს მეოხებით ძალი ღვთისაო!
წმინდაო ნინო! შენ გაგვანათლე,
შეგთხოვ, განსაცდელს არიდო ერი.
გზას გვინათებდეს ჯვარი ვაზისა,
ჯვარი, შენს მიერ შეკრული თმებით.
შეგთხოვ წმინდაო, გაუძეხ ქართველს,
მომავლის სვეტზე, ვით ნათლის სვეტი,
ჩაქრება? - ისევ აღინთოს , ენთოს,
ჩვენში ღვთივსათნოდ სანთელი, ბევრი!

მეგობართან, ანა ვახანიასთან ერთად

ანა ვახანიას და დიანა ჯანაშიას ხსოვნას!

გული ორჯერ განმიგმირა უმწვავესმა იარამ:
პირველ - როცა ანა იწვა და მეორედ - დიანა
შავ, სიკვდილის სარეცელზე,
ცრემლმა ღვართქად იარა!
ხუთშაბათი, ოცდაშვიდი ივნისის დღე, კრიალა,
მანქანის ქვეშ, ქუთაისში, ანამ წაიფრთხიალა,
სული ტირის! - ვერ დავმშვიდდი,
გულს ცეცხლი არს, ბრიალა!..
ისევ რიცხვი ოცდაშვიდი, ნოემბრის დღე, მზიანა,
კვლავ ხუთშაბათს ჩატყდა ხიდი, შვიდი წლისა დიანა,
შეუერთდა, სულით მშვიდით,
ანგელოზთა წმინდა დასს!
ნოემბერში მოვლენილნი, გულმა მწარედ ინანა,
„ჰყავნ უფალო ნება, შენი“ სასუფევლის დიად კარს
ნუ დაუხშობ! - ამას გვედრი,
მე სხვა შემიძლია, რა?!.
გული ორჯერ განმიგმირა უმწვავესმა იარამ:
პირველ - როცა ანა იწვა და მეორედ - დიანა
შავ, სიკვდილის სარეცელზე,
ცრემლმა ღვართქად იარა!

ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად!
გვიხმობს ეზო, სახლ-კარი...
ბავშვობა და ბებოს სიტყვა,
თბილი კერა აქ არის...


მოცალეობის ჟამს, ფერებში ვაძსოვ წამს

ქრისტე აღსდგა! გიხაროდენ!
მესმის წყაროს რაკრაკი,
აქ, თვალებში,სხივნი კრთოდნენ,
აქ მესმოდა არაკი...
ზეცის თაღზე ღრუბლის ფთილა
მიხატავდა ტილოებს,
ბებოს ხმაზე ჩემი დილა,
მინდა ახლაც მიხმობდეს...
ქრისტე აღსდგა! ყველაფერი
თითქოს ისევ ისეა,
გაიხედავ ის სიმწვანე
და იგივე სივრცეა...
მაგრამ მაინც ყველაფერი
სხვა გამხდარა, სხვა არის,
მოგონებას შერჩენია
ის, ბავშვობის ზღაპარი...
ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად
ვიყოთ უფლის მმოსავნი!
მე ვიქნები ჩემი მიწის
ტკბილხმოვანი მგოსანი!
ქრისტე აღსდგა! გიხაროდენ!
მესმის წყაროს რაკრაკი,
არასოდეს მიმატოვებს
ეს, ბავშვობის არაკი...

მიყვარხარ!!!

რატომღაც მაისში არ მახსოვს სხვა სიტყვა,
მიყვარხარ! მიყვარხარ! ვჩურჩულებ, გეძახი,
ვარდობას უხდება ყოველთვის ამის თქმა,
მაისში უგულოდ ვინ დადის ნეტავი?!.
მიყვარხარ! გულს გჩუქნი, გრძნობებში ამყევი,
მიყვარხარ! ეს გრძნობა მე შენთვის მწადია,
სამყაროს მოვუთხროთ ლამაზი ზღაპრები,
ვიფრინოთ, ვილაღოთ, არ გვინდა დარდი და...
ვკემსოთ და მოვქარგოთ დღეების არშია,
წამ-წუთი ვაბევროთ ლაღი და ხალასი,
ვაცოცხლოთ გულებში კვლავ დიდხანს ბავშვი და
ვამსხვრიოთ ცხოვრების ჯაჭვი და არტახი!..
მიყვარხარ! შენს სუნთქვას ყოველგან დავეძებ,
სიზმარშიც არ მინდა სხვა რამე ვიხილო,
შენი ვარ! შენთან ვარ! შენთვის ვარ! სად მეძებ?
მე შენი მდინარის წვეთად მსურს ვიდინო!..
გაზაფხულს უხდება გრძნობების ყვირილი,
მაისის ვარდები საამოდ კრთებიან,
არ მინდა რამეზე დარდი და ჩივილი,
გულები, გრძნობებით, როდესაც თვრებიან!..
მიყვარდე, გიყვარდე, უყვარდეთ ერთურთი,
სხვა რაღა ვინატრო, სხვა რაზე ვიფიქრო,
ურთიერთპატივში განვლიოთ დღე-წუთი,
დღეებმა ლაღად და ხალისით იდინონ!..
მაისი ვარდისფერ თვალებით მიყურებს,
ვარდისფერ სათვალეს მოვირგებ ხანდახან,
მე მინდა ხმაური, არ მინდა სიჩუმე,
დღეებსაც ვარდისფერ ფერებით დავხატავ!..
ოღონდ შენ გიყვარდე, ოღონდ მე ვიწვოდე,
ოღონდ გულებმა იპოვონ გულები,
სამყაროს წრებრუნვა უწყვეტად დიოდეს
და სულში ჩაეწნას მოყვარულთ სულები...
რატომღაც მაისში არ მახსოვს სხვა სიტყვა,
მიყვარხარ! მიყვარხარ! ვჩურჩულებ, გეძახი,
ვარდობას უხდება ყოველთვის ამის თქმა,
მაისში უგულოდ ვინ დადის ნეტავი?!.

მოამზადა
ირმა მეგრელიძე

თვალსაზრისი

რას გამოხატავს აკაკი წერეთლის „სულიკო“?

აკაკი წერეთლის **„სულიკო“** საპროგრამო ნაწარმოებია და შესაბამისად, მოსწავლეებსა და პედაგოგებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. შესწავლისას მოსწავლეებს ვაცნობთ რამდენიმე თვალსაზრისს, თუ რას გამოხატავს აკაკი წერეთლის „სულიკო“. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ვასილ ბარნოვი მიიჩნევდა, რომ სულიკო არის სატრფო-სამშობლოს ალეგორია, რადგან არც თუ ისე უცხო იყო ქართველ შემოქმედთა ნაწარმოებებში ტყვედ ყოფილი სატრფოს ალეგორია. აკაკი ბაქრაძე თვლიდა, რომ ეს დაკარგული ღმერთის ძიებაა და არგუმენტად ღმერთის სამპიროვანი არსებობა მოჰყავს **(„რას გამოხატავს აკაკის „სულიკო“-აკაკი ბაქრაძე. ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო მე-11 კლასი, გვ.304. როდონაია, ნაკუდაშვილი)**. გასაგებია, რომ ღმერთი დასაბამია, დასაწყისია და ლიტერატურულ ნაწარმოებთა კრიტიკოსებიც საიდუმლოს გასაღებს სამყაროს შემოქმედიდან ეძებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში თითქოს რეალობას მოკლებულია „სულიკოში“ ღმერთი ვიგულისხმოთ და მოცემული ლექსი რელიგიურ ასპექტში განვიხილოთ, ან სამშობლოს ალეგორიად მივიჩნიოთ „სულიკო“.

ვუბრუნდებით მესამე, გრიგოლ რობაქიძისეულ თვალსაზრისს, რომელიც უფრო მისაღები და რეალურია **(გრიგოლ რობაქიძე - „აკაკის ქნარი“).** სულიკო სატრფო-მშვენიერების ძიებაა. ლექსის მარტივი შინაარსი ჩვენთვის ცნობილია. ლირიკული გმირი სულიკოს დაეძებს, ესე იგი სატრფოს, სულისთვის სასურველ ადამიანს. ჯერ ვარდში, შემდეგ ბულბულსა და ბოლოს ვარსკვლავში დაეძებს სასურველს ავტორი. **„გულამოსკვნილი“** ლირიკული გმირი შვებას გრძნობს ნიავის ჩურჩულისას: ***„ეგ არის რასაც ეძებდი, მორჩი და მოისვენეო!“.*** სატრფო-სიყვარული სამად დაშლილა – ბულბულად, ვარდად და ვარსკვლავად.

აკაკი წერეთლის ლირიკაში სიყვარულზე გალობას დიდი ადგილი ეთმობა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ტრფიალის, მიჯნურთა სიმბოლოა თვით ვარდი და ბულბული. ამ წარმოდგენას მოწმობს მეფე-პოეტის, თეიმურაზ I-ის მიერ სპარსულიდან ნათარგმნი სიყვარულის საგალობელი **„ვარდბულბულიანი“.** ვარდი სხვადასხვა ტროპული მნიშვნელობით შემოდის მხატვრულ ლიტერატურაში, მითოსში. პოეზიაში ვარდის ალეგორია ტიპური მოვლენა იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის სარაინდო ეპოსისათვის. **„ვეფხისტყაოსანში“** ვარდის მეტაფორული გააზრებისას ყურადღებას იქცევს ვარდისა და ბულბულის ტრფობა. ვარდბულბულიანობის თემა აღმოსავლელი პოეტებისთვის წარმოადგენდა ტრაგიკული სიყვარულის მინიშნებას. სწორედ ტრაგიკული განცდაა მოცემული სატრფოდაკარგული ლირიკული გმირისა „სულიკოში“.

დავუბრუნდეთ **„ვარდბულბულიანს“**, სადაც ბულბული ყვავილთა ულამაზესსა და უტურფეს მეფეს, ვარდს ეუბნება:

„ბრძენთა და ფილოსოფოსთა,
რიტორთა, მოშაირეთა,
სპარსთა, ინდოთა, ქართველთა,
ცნობილთა, არ თუ ვირეთა,
შენად მიჯნურად დამწერეს ჩემთვის არ დამაძვირეთა“.

პოემიდანვე ხდება ცნობილი ისიც, თუ როგორ მიიჩნევა ტრფობის ალეგორიად ვარდი და ბულბული:

„დამწვი, გამხადე, აბედად, შენ იქმენ ჩემად კვესადო“.

გავიხსენოთ აკაკის კიდევ ერთი საპროგრამო ლექსი „ქებათა ქება“, რომელიც ასევე სიყვარულის, ტრფობის, მშვენიერების საგალობელია. სიყვარული – ეს ის გრძნობაა, რომელსაც პოეტი ტრფობის სანეტარო წამს ანაცვალებს მთელ ცხოვრებას:

„მე მას ვუგალობ, ვისაც განგებამ
მშვენიერება უსხივცისკარა,
ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე
და ბულბულს ენა ერთად მოჰპარა“.

ამით ავტორი სიყვარულის, მშვენიერების განსაკუთრებულობას ხატავს. სიყვარულის ყოვლისშემძლეობას აიდეალებს ალექსანდრე ჭავჭავაძეც: ***„შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს და ბულბულსა რად ეზრახვის, რომ შენ გამო ვარდს შეჰყეფდეს!“***

სიყვარულს „ვარდბულბულიანობის“ თემით წარმოაჩენს ცნობილი ირლანდიელი მწერალი **ოსკარ უაილდი** თავის მოთხრობაში **„ვარდი და ბულბული“.** გულმოკლული, თავდადებული მიჯნური სატრფოსთვის წითელ ვარდს დაეძებს ბაღნარში, რომელსაც ვერსად პოულობს. ბაღის მგოსანი ბულბული ასე ანუგეშებს ხელმოცარულ ჭაბუკს – ***„აი, ჭეშმარიტი მიჯნური, ასეთ მიჯნურზე ვმღეროდი, ყოველ ღამე მის შესახებ ვუყვებოდი ცაზე მოკიანთე ვარსკვლავებს“.***

დავუბრუნდეთ ისევ **აკაკის „სულიკოს“.** პოეტმა სიყვარული ორ განზომილებაში

ჰპოვა დედამიწაზე ბულბულსა და ვარდში, ზეცაში – ვარსკვლავში. სიყვარული ხომ ამ ორი სამყაროს შემაერთებელია. სიყვარული ხომ ციდან უფლის მიერაა დაწესებული და აკაკიც ხომ სიყვარულს ღმერთს უტოლებდა. გავიხსენოთ შემდეგი ტაეპი ***„დაგვქათქათებდა ვარსკვლავი, სხივები გადმოსულიყო“,*** რა უნდა იყოს ეს ვარსკვლავი, თუ არა ცისკრისა და მწუხრის ვარსკვლავი. იგივე ვენერა, ასპიროზი, მთიები, რომელსაც რამდენიმე სახელით ვიცნობთ ქართულ განმარტებით ლექსიკონში. რაკი დასაწყისში მითოსი ვახსენეთ, ბერძნულ-რომაული მითოლოგიის მიხედვით ვენერა-აფროდიტე სიყვარულისა და მშვენიერების მფარველი ქალღმერთია, მითოსიდან გამომდინარე ერთ-ერთი პლანეტის სახელადაც იქცა. ვენერა სიდიდითა და შემადგენლობით ძალიან ემსგავსება დედამიწას და მშობლიურ პლანეტას სხვა ციურ სხეულებზე მეტად უახლოვდება. სწორედ ამიტომ ჩანს ყველაზე უკეთ შეუიარაღებელი თვალით. ვენერა, იგივე მთიები, ვარდ-ბულბულის ტრფობის მოწმე და მფარველია. სატრფომონატრებული ავთანდილიც ხომ ასპიროზს შესთხოვს შველას: ***„მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა, / ვისმე გლახ, ჩემებრ დააგდებ, გახდი ცნობითა შმაგითა.“***

ცნობილია ისიც, რომ ბულბულის გალობის აქტიური ფაზა დაახლოებით საღამოს ცხრა საათიდან დილის ოთხ საათამდე გრძელდება. ესე იგი, მწუხრიდან ცისკრამდე, როდესაც ბულბული თავის მდედრს უგალობს, როდესაც ყველაზე მეტად კიაფობს ცის კაბადონზე პლანეტა ვენერა (განსაკუთრებით მაისში, ვარდობისთვეს).

ამრიგად, არც თუ ისე ძნელი დასაჯერებელია ზემოთ მოხმობილი არგუმენტების საფუძველზე ის, რომ აკაკის **„სულიკო“** მშვენიერება-სიყვარულის საგალობელია და ლირიკული გმირი ამ მშვენიერებას პოულობს ვარდში, ბულბულსა და ვარსკვლავში, სიყვარულის სამ მარადიულ სიმბოლოში.

მარიამ ჩიბარაშვილი,
თბილისის 83-ე საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი.

ახლებური ხედვა

სახარების ანარეკლი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“

ტაო-კლარჯეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ეკლესია-მონასტრების მშენებლობა გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით. მე-10 საუკუნისთვის ხანძთისა და შატბერდის მიდამოები დაიქსელა ეკლესია-მონასტრებით, სწორედ ამიტომ ამ ტერიტორიას საქართველოს სინას უწოდებენ. **გიორგი მერჩულის** თხზულება ამ გრანდიოზული მშენებლობის შესახებ მოგვითხრობს.

ნაწარმოები შექმნილია მე-10 საუკუნეში, თუმცა თხზულება ეხება მე-8-მე-9 საუკუნეებში მომხდარ ამბებს. ავტორი თავის მიერ აღწერილი ამბის მომსწრე არ არის. გიორგი მერჩულე ფრიად განსწავლული პიროვნება ყოფილა. მას კარგად სცოდნია რჯულის კანონი და სახარება, რაც ნათლად ჩანს ნაწარმოებში. მასში მოყვანილია ციტატები ოთხთავიდან. **გრიგოლ ხანძთელისა** და მისი მოწაფეების ზოგიერთ ქმედებაში ნათლად ჩანს სახარების ანარეკლი.

გიორგი მერჩულე თხზულების პირველივე ფურცელზე წარმოაჩენს გრიგოლ ხანძთელის სრულიად ამაღლებულ და განწმენდილ ბუნებას. ავტორი ამბობს: **„სიტყვაჲ მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაჲთა. რაჟამს იტყჳნ, ბრძნად აღაღის პირი თჳსი და წესი განუჩინის ენასა თჳსსა.“** გრიგოლში თვით ღმერთის სული ლაპარაკობს. მისი სიტყვა ყოველთვის გაზომილ-აწონილია ისევე, როგორც უფლისა. როდესაც მას მღვდლობას შესთავაზებენ, უარს ამბობს, რადგან იცის, რომ ჭეშმარიტი მღვდლობა „ქრისტჱს ნაცვალობაჲ არს ჭეშმარიტისა ღმრთისაჲ“ და იქვე ქრისტეს სიტყვებით განმარტავს ნამდვილი მღვდლის ხვედრს: **„ნეტარ ხართ თქვენ, რამეთუ წინასწარმეტყველთა და მართალთა სწადოდა ხილვად და სმენად, რომელსა ხედავთ თქუენ და გესმით, და ვერ მიემთხჳნეს“ (მათეს სახარება).** გრიგოლს სწადია, რომ ასეთი ხვედრი თვითონაც ერგოს, უფლის ეს სიტყვები მის მიმართაც იყოს ნათქვამი, მაგრამ მას, როგორც თვითონ იტყვის, „პატიჟის“ ეშინია. მასში თავმდაბლობის სათნოება ღვივის და სწორედ ამიტომ არ შეუძლია იკურთხოს მღვდლად.

ყველაზე მეტ მასალას თხზულებაში თავმდაბლობისა და მორჩილების სათნოება იძლევა. ქრისტიანობა მიიჩნევდა, რომ ადამიანთა კეთილ არსებობას ისე არაფერი ართულებს, როგორც ვნება ამპარტავნობისა, სიამაყისა. ამ ვნებას ქრისტიანობა უპირისპირებს თავმდაბლობისა და მორჩილების სათნოებათ. სწორედ გრიგოლ ხანძთელის უარის თქმა მღვდლად კურთხებაზე წარმოადგენს სათნოების მაგალითს.

გრიგოლი მშობლების მორჩილი შვილია. იგი დედისა და მამის წინააღმდეგ ვერ წავა, რადგან იესო ქადაგებს: **„თუ გნებავს ცხოვრებასა შესვლაჲ, დაიმარხენ მცნებანი. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“ (მათეს სახარება).** მშობლები და მასწავლებლები კვლავ განიზრახავენ გრიგოლის ეპისკოპოსობას, მაგრამ იხილა რა ხანძთელმა თავი ხორციელ პატივში, ფარულად გაიპარა თავისი ქვეყნიდან. კიდევ ერთხელ

იჩენს გრიგოლში თავს თავმდაბლობის სათნოება. აქ გიორგი მერჩულე პარალელს ავლებს გრიგოლსა და იესო მაცხოვარს შორის. ქრისტე გეთსიმანიაში ევედრება თავის ზეციურ მამას: **„მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმჴედინ ჩემგან სასუმელი ესე,“ მაგრამ იქვე მორჩილების სათნოება დასძლევს ყოველგვარ გრძნობას და იტყვის: „ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ.“** ქრისტეს არ შეეძლო თავისი მამის წინააღმდეგ წასულიყო, ურჩობა გაეწია მისთვის, რადგან თვითონ უნდა მიეცა მაგალითი მორჩილებისა ქრისტიანთათვის. გიორგი მერჩულესთვისაც გრიგოლ ხანძთელი ჭეშმარიტი ქრისტიანია, ისიც თავისი მოქმედებით მაგალითს აძლევს ყველა ნამდვილ მოწამეს.

გიორგი მერჩულე უჩვენებს არა მარტო სულიერ მხარეს თავისი გმირებისას, არამედ ხორციელ, ამქვეყნიურ მხარესაც. გრიგოლი არის მაღალი ფენის წარმომადგენელი, **„შვილი წარჩინებულთა, დიდებულთა და მართლმორწმუნეთა მამა-დედათაჲ“.** საკმაოდ მდიდარია, მაგრამ ყველაფერს უარყოფს და ტოვებს სასახლეს. გავიხსენოთ ერთი მონაკვეთი, სადაც იესო ეუბნება თავის მოწაფეთ: **„ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა. უადვილეს არს აქლემი განსვლად ჴურელსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შევა სასუფეველსა ცათასა. გრიგოლი მდიდარია, მაგრამ არ შევა „ძნიად სასუფეველსა ცათასა“**, რადგან მან სძლია ამქვეყნიური ვნება, არად შერაცხა ხორციელი სიმდიდრე და იწყო სვლა ღვთისკენ მიმავალ გზაზე. იგივე შეიძლება ითქვას ზენონის შესახებაც, რომელმაც დატოვა ის მონაგები, რომელიც მას მშობლებმა დაუტოვეს და გრიგოლთან ერთად იწყო სვლა მარადიული სიცოცხლისაკენ. გიორგი მერჩულეს უნდა გვითხრას, რომ ყოველივე ამქვეყნიური სიმდიდრე ამაოება და წამიერია, მხოლოდ იმქვეყნიური სიმდიდრეა მარადიული. იესო მაცხოვარიც ხომ ამას ქადაგებს: **„ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქვეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამეკლმან განრყუენის და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. ხოლო თქუენ იუნჯებდით ცათა შინა, სადა არცა მღილმან, არცა მჭამელმან განრყუნის, და სადა არცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან“ (მათე, თავი 6, 19-20).** გრიგოლისა და ზენონის ამბის თხრობით ავტორს სურს, დაგვანახვოს ჭეშმარიტი ბერის მოვალეობა. ყველა, ვინც ამ გზას აირჩევს, ვალდებულია დაუტევოს თავისი ამქვეყნიური მონაგები და ზეცაში დაიუნჯოს ყოველგვარი სიმდიდრე.

ელისო ლოგჟანიძე-ბერიძიშვილი,
თბილისის 83-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი.

გამარჯობათ, 172-ე ბაგა-ბაღელებო!

არ დათმობენ მოწინავე პოზიციებს და პოპულარობას

თბილისის კოლორიტულ უბანში, ვერაზე, ერთი ლამაზი და საინტერესო წარსულის მქონე შენობა დგას, რომელიც წლების წინათ ჯანდაცვის სამინისტროს კუთვნილება იყო და **„ჯანმრთელობის ბაგა“** ეწოდებოდა. აქ პატარებს ექვსი თვის ასაკიდან იღებდნენ და აფრთიანებდნენ. მოგვიანებით აღნიშნულმა დაწესებულებამ პროფილი შეინარჩუნა, თუმცა, გადაკეთდა საბავშვო ბაგა-ბაღად. მაშინდელი დირექტორის **ლალა აფაქიძის** ინიციატვით კი, შენობას სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. ასე რომ, 1986 წელს განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა, გაიხსნა ახალი ბაგა-ბაღი ძველი კოლექტივითა და შემადგენლობით. მას შემდეგ 33 წელიწადი გავიდა და საბავშვო ბაღი იუბილესთვის ემზადება. ქალბატონი ლალა კვლავაც აგრძელებს ბაღში მოღვაწეობას, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის პოზიციაზე. **ლალა აფაქიძეს** დიდი ღვაწლი მიუძღვის სკოლამდელი აღზრდის სისტემაში. იგი არის ღვაწლმოსილი პედაგოგი და მრავალი თაობის აღმზრდელი. ბაღის სანიმუშოდ ხელმძღვანელობისთვის კი, მრავალი ჯილდო და სიგელი აქვს მიღებული. მადლიერი მოსწავლეები კი, დღესაც არ წყვეტენ კავშირს აღმზრდელთან და ახლა თავიანთ შვილებს და შვილიშვილებს აბარებენ.

172-ე ბაგა-ბაღს ამჟამად სათავეში უდგას, ამავე საბავშვო დაწესებულების აღზრდილი **თამარ გობეჩია.** იგი 2007 წლიდან წარმატებით ხელმძღვანელობს ბაღს, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ბაღის წარმატებისთვის. ქალბატონი თამარი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მე-6 შვილიშვილის მოლოდინშია. ამჟამად მისი მეოთხე შვილიშვილი დამამთავრებელ ჯგუფშია, ხოლო მე-5 ემზადება ბაღში შესასვლელად.

აქ კომფორტული და მშვიდი გარემოა, პატარები უსაფრთხოდ არიან და იშვიათად შემხვედრია ასე ერთ მუშტად შეკრული გუნდი, სადაც სხვადასხვა თაობაა თავმოყრილი და არ არსებობს ასაკობრივი ზღვარი, თითქოს ერთი ოჯახია და თანაბრად ინაწილებენ იმ პასუხისმგებლობას, რაც მომავალი თაობისთვისაა აუცილებელი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმ ადამიანების ღვაწლი, რომლებმაც თაობები გაზარდეს და დღესაც ჩვეული ენთუზიაზმით განაგრძობენ საყვარელ საქმეს. დირექტორი მადლობას უცხადებს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს **ლალა აფაქიძეს,** მეტყველების თერაპევტს **ლეილა ძლიერიშვილს,** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორს **იზოლდა კვირიკაშვილს**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორს **როზა ავაზაშვილს** და საქმისმწარმოებელ **დარეჯან ჩიტიშვილს.**

საგულისხმოა, რომ 172-ე ბაგა-ბაღი ტრადიციული საბავშვო დაწესებულებაა, რომელიც ყოველთვის სარგებლობდა პოპულარობით. მაღალკვალიფიციური კოლექტივისა და ახალგაზრდა შემოქმედი გუნდის წყალობით, ბაღი კვლავაც აგრძელებს ტრადიციებს და მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. აღსაზრდელები და მშობლები კმაყოფილები არიან. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელშეწყობით აქაც მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა და ბაღი აღიჭურვა უსაფრთხოების ბადეებით. სამზარეულო გარემონტებულია და აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. კვება სანიმუშოა და სანიტარულ-ჰიგიენური წესები ზედმიწევნით არის დაცული.

სააგენტოს ხელშეწყობით, ასევე გადამზადება და ტრენინგები გაიარა საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა ქალბატონმა **ლალა აფაქიძემ,** რომელმაც მიღებული ცოდნა აღმზრდელებსა და სხვა თანამშრომლებს გაუზიარა. ქალბატონი ლალას ინიციატივით ბაღში მომზადდა სააღმზრდელო-მეთოდური ლიტერატურა - ადრეული, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით. შემუშავებული ახალი პროგრამით კმაყოფილია დირექტორი და თანამშრომლები, შემდეგ კი, გაწეული მუშაობის ანგარიში პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს.

საბავშვო ბაღში ამჟამად 380 აღსაზრდელია, ხოლო 9 ჯგუფია. წარმატებით მიმდინარეობს **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა და 40 ბავშვი უკვე მზად არის სკოლისთვის. 5 აღსაზრდელი კი, განსაკუთრებული საჭიროებისაა, რომელთანაც მუშაობენ მაღალკვალიფიციური სპეციალური პედაგოგები და ფსიქოლოგი.

აღსაზრდელებს მზრუნველობას არ აკლებენ პროფესიონალი აღმზრდელები: **ციცინო ხახვაძე, ლია ივანიშვილი, ნანი ბალაშვილი, ნინო ბოჭორიშვილი, ეკატერინე შიშნიაშვილი, ნანული დათუნაშვილი, ეკატერინე კვარაცხელია, გულნაზი მჭედლიძე, თამილა ზედანია, თამილა წიკლაური, ნანა ნინიაშვილი** და **ირმა ჩიქოვანი.** მათ მხარში უდგანან თანაშემწეები: **სოფიო ლეკიშვილი, მზია ბექაური, ნატალია ღვინჯილია, მაია არჯაკელი, ნატალია ჭყონია, ზინაიდა ღლონტი, ინგა გეგეშაშვილი, მარიამ ავაზაშვილი, თეა თავაძე** და **ია არჯაკელი.**

აქ პატარებს შემოქმედებით უნარებს უნვითერებენ. აღსაზრდელები ჩართულები არიან სხვადასხვა აქტივობებში. იმართება სეზონური ზეიმები და მრავალფეროვანი ღონისძიებები. ერთი სიტყვით, ბაღის დირექტორი და მთელი კოლექტივი, ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ ეს საბავშვო დაწესებულება იყოს გამორჩეული და სანიმუშო. აქაური მესვეურები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ პატარებს ზღაპრული გარემო შეუქმნან და მათ ცხოვრება გაულამაზონ. **უფრო გაბრწყინებას გისურვებთ, 172-ე ბაგა-ბაღელებო!**

მზია გოგოძე

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N8 (4583)
15 მაისი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009